

გიორგი გურჯაი

---

# თ ხ უ თ მ ა ტ ი წ ე ლ ი

თბილისი  
2008 წელი

ეძღვნება 9 აპრილის დაკარგულ თაობას.  
ასევე ქვეყანას რომელიც მათ წაართვეს, და  
რომელი ქვეყანაც, მოგვიანებით ამავე თაობის  
გადარჩენილმა ნაწილმა, უკანვე დაიბრუნა.

წიგნის დიზაინი და დაკაბადონება: ირაკლი მარგველაშვილი

© გიორგი გურჯი, 2008

**ISBN 978-9941-404-31-3**

## 1.

გიორგის ჩვეულებრივ ცხრის ნახევარზე გამოეღვიძა. ფანჯრებს მიღმა მშვენიერი, შეიძლება ითქვას, უცნაურად მშვენიერი კვირა დღე გათენებულიყო. დედას ოთახის ფანჯრები ფართოდ გამოელო და თავად, მეზობელი ოთახის დასუფთავებით იყო დაკავებული. გიორგის ირგვლივ გამეფებულ ცივ სიჩუმეს კი, პერიოდულად მხოლოდ ფარდის შრიალი თუ დაარღვევდა ხოლმე, რომელსაც დილის სურნელითა და ახლადგამოღვიძებული ქალაქის ჩუმი ურიამულით გაუღენთილი შემოდგომის ნიავი, ნაზად აქეთ – იქით არხევდა. ბიჭს წამოდგომა არც უცდია; უმოძრაო, ზედმეტად დასვენებულ სხეულს მინებდა და ყური საათის წიკნის დაუგდო.

პირველი რამაც ის გააკვირვა, თავად ეს ჩუმი, მშვიდი ქალაქური ჩოჩქოლი გახლდათ, რომელიც ძალზე არაბუნებრივი უნდა ყოფილიყო იმ ქალაქისათვის, რომელსაც გიორგის აზრით წინა დღეს, ან უკიდურეს შემთხვევაში სულ რამდენიმე დღის უკან, მის ცენტრალურ გამზირზე მისივე ახალგაზრდების დარბევა, ხოლო თუ უფრო სწორად ვიტყვით, არაადაბიანური ხოცვა – ულეტა გადაეტახა.

– ღმერთო ჩემი გადავრჩი, ცოცხალი ვარ. – გაიფიქრა მან და ოთახს გახედა. მაგრამ, როცა დაჟინებული მზერის მიუხედავად, კედელზე დაკიდებულ საგანზე, რომელიც ალბათ კედლის საათი უნდა ყოფილიყო, ციფრებლატი ვერ გაარჩია დაიბნა, ხოლო როცა მოზღვავებულმა დღის შუქმა საშინლად აუწვა თვალები, მის დაბნეულობას შიშიც შეეპარა.

– ალბათ დიდი ხანია გათიშული ვარ და ამის ბრალია. – თავი დაიმშვიდა გიორგიმ, თვალები დახუჭა და სცადა გაეხსენებინა, თუ რა მოხდა რვიდან ცხრა აპრილის ღამეს რუსთაველის გამზირზე და საერთოდ, სად იმყოფებოდა ამჟამად.

მოგონებებმა ჯერ ბუნდოვნად, შემდეგ კი, უფრო და უფრო ნათლად იწყეს მის წარმოსახვაში აღდგენა. უმოძრაო გაყინული კადრები, ბავშვობაში ნანახი დიაფილმის ნახატებივით ცვლიდნენ ერთ-მანეთს. უამრავ ანთებულ სანთელსა და ლამის მესიებად აღიარებულ არაფორმალ ლიდერებს შორის საქართველოს პატრიარქის გაფითრებულ სახეს, ენაცვლებოდა მის ირგვლივ შეკრებილ ადამიანთა, მათი სულიერი მამის მიერ დაშლისკენ მონოდებისადმი არ დამჯერი, რადიკალურად განსხვავებული გაბრნჟყინებული თვალები და ათიათასობით მაღლა შემართული მარჯვენა ხელი.

ცივი გონებით მოქმედება იმ დროინდელ საქართველოში, ადამიანთა არც თუ ხშირი მეგზური იყო. მითი რომ ახალ, თავისუფალ ქვეყანას მხოლოდ გაიდეალებული შიშველი სიმართლითა და მასთან დაკავშირებული მართალი ემოციებით შევძლებდით, მალევე

დაიმსხვრა. ნუ ვეცდებით ახლა იმის გარკვევას, თუ რა სჯობდა და როგორ უნდა გვემოქმედა; ჩვენთან იყო სიმართლე და შესაბამისად, ჩვენთან იყო ღმერთი. და თუ იმ დღიდან მოყოლებული, შემდეგი წლები რამე ისე ვერ გავაკეთეთ, დაე ჩვენმა შვილებმა გვაპატიონ... გაითვალისწინონ რომ მათ მამებს, პავლიკ მოროზოვისა და ასე შემდეგ მოროზოვების სახელობის პიონერთა რაზმების შემადგენლობაში, არაერთ საპირველმაისო დემონსტრაციაზე ჩაუვლიათ, რომელიმე გალიმებული საბჭოთა ლიდერის სურათით ხელში. (ამ ლიდერთაგან ერთ – ერთს, ჩვენ მოგვიანებით კიდევ დავუბრუნდებით)

მყითხველმა მომიტევოს, თუ ძირითად ამბავს ცოტა გადავუხვიე. უბრალოდ, მინდოდა ორი სიტყვით ბოდიში მომეხადა... ეს იყო და ეს.

გავნაგრძოთ იქიდან, რომ განცდა, რომელიც გიორგის იმ დღეს, იმ მოედანზე დაუფლა და რომლის გახსენებაც ეხლა ენით აუზრელ სიამოვნებას გვრიდა, იყო მისთვის მანამდე გამოუცდელი აღმაფრენა, რომელიც ასე იშვიათია და რომელიც თუნდაც რამოდენიმე წამით ადამიანს აიძულებს, უყვარდეს ყველა და ყველაფერი. დედამისის მიერ შეკერილი საქართველოს სამფერიანი დროშა, რომელიც მის თავს ზემოთ ასე ამაყად ფრიალებდა, მას, გიორგი ჩიქოვანს ეკუთვნოდა. თავად ეჭირა ხელში და სრულიად დამსახურებულად თექვსმეტი წლის ბიჭს, თავი საქართველოს მედროშედ წარმოედგინა.

დიახ! ეს ქვეყანა, და ამ ქვეყნის მომავლის განსაზღვრის უპირველესი უფლება მას ეკუთვნოდა. მხოლოდ მას და არა ერთ დროს პროლეტარ მამებსა და ბაბუებს, თვითონ და თავის თაობას, ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ქვეყნის დღევანდელ და ხვალინდელ დღეს წარმოადგენდნენ.

მასთან ერთად იყვნენ მისი განუყრელი მეგობრებიც: ლაშა, დათო და ნიკუშა. იქვე იყო მარიცუ; ადამიანი, რომელიც გიორგის სიცოცხლეზე მეტად უყვარდა და ახლა, მან განმეორებით იგრძნო ის ერთ-ერთი უიშვიათესი წამი ადამიანის ცხოვრებაში, როცა ხვდები რომ ბედნიერი ხარ თუნდაც იმით, რომ ცოცხალი ხარ, რომ გიყვარს, რომ უყვარხარ და როცა უბრალოდ და სრულიად უანგაროდ, შეგიძლია ამ ყველაფრისთვის სიცოცხლეც კი დათმო. გოგონას გიორგის მარცხენა ხელი მაგრად ჩაებდუჯა და გულიანად კისკისებდა. მარის ბედნიერებას აორმაგებდა ისიც, რომ ბიჭებმა როგორლაც მისი მშობლების დაყოლიება შეძლეს და მან მიტინგზე წამოსვლის უფლება მიიღო.

თუმცა, როგორც ჩანს არავინ არაფრის დათმობას არ აპირებდა და შესაბამისად, გიორგის აღმაფრენა დიდხანს არ გაგრძელებულა. აზრთა თანმიმდევრობა უეცრად განყდა და ყველაფერი ქაოსურად

გადაიხლართა ერთმანეთში. ბიჭს რაღაც საშინელის მოლოდინში, მთელს ტანში ურუანტელმა დაუარა. იგზნო თუ როგორ აუჩქარდა პულსი და როგორ იმატა გულის ცემამ. მთელი არსებით გრძნობდა, რომ რაღაც ისეთი უნდა გახსენებოდა, რასაც შემდეგ ვერასოდეს დაივიწყდებდა. უკვე აღარ ესმოდა ბედნიერი შეძახილები და აღარსად ჩანდნენ იქვე, მის შორიახლოს მოცეკვავე მხიარული ადამიანები. ხალხი ერთ ადგილზე გაქვავებულიყო და ყველა როგორც ერთი, ჯოჯოხეთური მანქანების მოლოდინში მარცხნივ იყურებოდა. მის ტვინში ბედნიერ შეძახილებს სასონარ კვეთილი შორისდებულებული ჩაენაცვლა და უეცრად, ელვისსსნრაფით დაბნელდა. ამის შემდეგ, სულ რამოდენიმე წამით, გიორგის მხოლოდ ტანკების გუგუნი და მის ნაცნობ – უცხო ენაზე, ხმამაღლალი ბრძანებები ესმოდა.

- სისხლი. აღარ მინდა. მეშინია. – მის ტვინში უქმო, უმწეო ბოდვამ გაიელვა. მოგონებებმა კი ისევ იწყეს დენა და ანცევეტილი მდინარის მსგავსად, ქაოსურად ჩაიღვარნენ სხეულში. მათი შეჩერების უნარი, უკვე არა თუ გიორგის მოდუნებულ სხეულს, არამედ ზოგადად ნებისმიერ ადამიანურ ძალებს აღემატებოდა. შემდეგ ისევ გამოიკვეთა უკვე ნახევრად დაცლილი მოედანი და მას გაახსენდა, თუ როგორ გაშემებულიყო ერთ ადგილზე დროშით ხელში და როგორ უაზროდ უცქერდა მის წინ ასფალტზე გართხმულ მარის, რომელსაც მეღლავიდან თქრიალით სდიოდა სისხლი.
- მარი! – დაიღრიალა გიორგიმ და მუხლებზე დაეცა. – ნუ გეშინია გიორგი ვარ, ხელი მაჩვენე!

მარის მეღლავი საბრძოლო წიჩაბს, მთელს გაყოლებაზე გადაესრა. ბიჭს კი თავგრუ დაეხვა და გულის რევა იგრძნო, მაგრამ როგორლაც თავი შეიკავა, ძალა მოიკრიბა, საჩქაროდ პერანგი გაიხადა, შუაზე გადახია და ხელის გადახვევას შეუდგა.

- არაფერია. არ ინერვიულო, უბრალი ნაკანრი გაქვს. ყველაფერი კარგად იქნება. – სცადა როგორმე გოგონა დაემშვიდებინა და თან, გამალებით ცდილობდა სისხლის შეჩერებას.
- გიო, ხომ არ მიმატოვებ? დედას გაფიცებ არ მიმატოვო. მოგვკლავენ, ყველას დაგვხოცავენ. ჩემს თავს გაფიცებ აქედან გამიყვანე, აქ არ დამტოვო. – ისტერიულად კიოდა მარი.

ამასობაში გიორგიმ როგორლაც სისხლის შეჩერება შეძლო და ის იყო გოგონას ნამოყენებას აპირებდა, როცა ერთ ადგილს მიშტერებულმა მარიმ, ისევ განწირულად იყივლა გვიშველეთო. გიორგი შემობრუნდა და სამხედრო ფორმაში ჩაცმული ზორბა არსება დაინახა, რომელიც თავისი სისხლიანი წიჩათ, ჯოჯოხეთის შსახურს უფრო წააგავდა ვიდრე ადამიანს. ამ არსებას თავს ზემოთ საბრძოლო წიჩაბი ჰქონდა აღმართული და ახლა, საწოლს მიჯაჭვულ გიორგის,

გაახსენდა ღიმილი იმ ადამიანის სახეზე.

ამის შემდეგ მოვლენები ელვისისინრაფით განვითარდა; გიორგიმ მარი ასფალტზე ძალით დააწვინა და ზედ გადაეფარა.

- გიო ფრთხილად! – იყვირა გოგონამ, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

გიორგიმ კეფაში ყრუ ტკივილი იგრძნო. შემდეგ კი არაფერი დაუნახავს, მხოლოდ მარის განწირული კივილი ესმოდა ბუნდოვნად:

- მიშველეთ, მოკლეს! გიო მოკლეს!

გვიშველეთო – უკვე გიორგის უნდოდა ეყვირა აქ, საწოლზე უმოძრაოდ გართხმულს, მაგრამ ამაოდ; დაბუქებული ენა აღარ ემორჩილებოდა, უკიდურესი დაბულობისაგან მთელს ტანზე ჯოჯოსეთური სიმხურვალე მოსდებოდა და ორგანიზმი საშინელ ცახცახს მოეცვა. ნაცნობი გრძნობა დაუფლა; (ისეთივე მარის კივილს რომ მოჰყვა) სიმხურვალემ კი თანდათან იმატა და როცა აგონის ზღვარზე აბსოლუტურ პიკს მიაღწია, უეცრად სხეულსა და სულში ყოველგვარი მოქმედება გაჩერდა.

რამოდენიმე წამი, და სიცივემ, რომელიც ფრთხილად დაიძრა ფეხის თითებიდნ, გიორგი მიახვედრა, რომ დასასრული ახლოვდებოდა. მანაც იგრძნო რა, რომ წინააღმდეგობის გაწევას არავითარი აზრი არ ჰქონდა, სრულად მოეშვა, მთლიანად მინებდა მარადიულ ძალას და უეცრად, უკიდეგანო მწვანე ტრამალზე აღმოჩნდა, სადაც საოცარ და ყოვლისმომცველ ღვთაებრივ ატმოსფეროს დაესადგურებინა. ენით აუნერელი ნეტარება მოჰყვარა საგალობელმა, რომელიც ვერაფრით ვერ გაეგო საიდან მოისმოდა. თავად კი მუხლებამდე მწვანე ბალახში იდგა, სახეზე ოდნავი წიავი სცემდა და ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს თვითონაც ამ წიავის, ამ ბალახის ერთი პატარა ნაწილი იყო. თითქოს არ არსებობდა ზღვარი მასასა და ჰორიზონტს შორის, მასასა და თავად ზეცას, უსასროლობას შორის. ირგვლივ ყველაფერი, ერთი დიდი ჭეშმარიტების ნაწილი იყო და ამ უსასრულობაში, გიორგიმ მისკენ მომავალი, ცხენზე ამხედრებული, ნათლითმოსილი წმინდა გიორგის ხატება დაინახა, რომელიც შორიახლოს ცხენიდან გადმოვიდა, სადაცე მიუშვა და საონო ღიმილით მოუახლოვდა მას. წმინდანის ხელში გიორგიმ ქართული, ბოლნური ჯვრით ამოტვიფრული ხატი შენიშვნა. ახლოს მოსულმა, ხელები გიორგისკენ გამოიშვირა და ის იყო პატარა ხატი ბიჭს კისერზე დაჰკიდა, რომ გიორგის მუხლები მოეკვეთა და მინაზე დაემხო. ღმერთოდამიფარეო, აღმოხდა მას და ეს მოკლე ლოცვა სივრცეში ისე გაშალა, თითქოს ირგვლივ მქუხარე საგალობლის ერთ – ერთი ღვთაებრივი ტაეპი ყოფილიყო.

როცა გიორგიმ თავი ასწია, წმინდანი უკვე იქ აღარ იყო. თვითონ ნელა წამოდგა, ნაჩუქარი ხატი მუჭში მოიქცია, თვალები დახ-

უჭა და სახე წინიდან წამოსულ ნიავს შეაგება, რომელიც წელ – წელა, უფრო და უფრო ძლიერდებოდა. სულ ცოტა ხანში, სტიქიად ქცეულმა ძალამ ბიჭი ჰაერში აიტაცა და ამ დროს ოთახში, საწოლს მიჯაჭვული გიორგის სხეული, რამოდენიმეჯერ ძლიერად შეტოკდა. როგორც სჩანს მისი დრო ჯერ არ დამდგარიყო. უმოძრაო სხეულს თანდათან ფერი მიეცა და ბიჭს კიდევ ერთხელ დაუბრუნდა გონება.

თითქოს სულმაც ამით ისარგებლა და სხეულზე იერიში მიიტანა, საფეხულებს სისხლი მოაწვა, იქვე დაგროვდა და ტვინის მაგივრად, ცხვირის ღრუს გავლით, საწოლზე ბლანტად გადმოილვარა.

სული გამარჯვებას ზეიმობდა, სიმხურვალე ჩაცხრა. გიორგის, თავი მარჯვენა მხარზე ჩამოუვარდა და ჩაეძინა.

## 2.

- არც კი ვიცი რა გითხრათ, ასეთი ორგანიზმი წებისმიერ ჯანმრთელ ადამიანსაც შეშურდებოდა. წარმოუდგენელია! ბიჭს ყველაფერი წესრიგში აქვს; პულსი, წნევა და საერთოდ, პაციენტის ამ წუთს არსებული მდგომარეობა მიგვანიშნებს იმას, რომ პროცესი საკმაოდ აქტიურად დაიძრა. როგორც მახსოვს, თქვენ მითხარით დიდი ხანია კომაშია და სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ აღენიშნებოდაო. – იკითხა დაახლოებით ხუთწუთიანი პაუზის შემდეგ ხანშიშესულმა პროფესორმა, რომელსაც გიორგის გასინჯვა დაემთავრებინა და ნანახით აღელვებული, სამედიცინო ხელსაწყობს ჩანთაში ალაგებდა. შემდეგ ისევ ავადმყოფს დახედა და რათა კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო თავისი აზრის სისწორეში, გიორგის თავთან დაიხარა, ფრთხილად თვალის ქუთუთოები გაულო და ყურადღებით ჩახედა გუგებში. შემდეგ უბის წიგნაკი ამოილო და თავაუღებლად იკითხა:

- ვისთან მკურნალობდით?

ექიმი ისე გართულიყო თავისი წიგნაკითა და პაციენტით, რომ ირგვლივ სხვას ვერაფერს ამჩნევდა. შემდეგი კითხვაც, თითქოს თავისთვის ჩაილპარაკაო:

- კომაში ყოფნის ზუსტი ხანგძლივობა?

პასუხი აგვიანებდა. პროფესორმაც წიგნაქს თავი ანება და ქალს გახედა, რომელიც იქვე, მეორე სანოლზე იჯდა შორიახლოს. საცოდავი სანახავი იყო, ჭაღარა თავი ხელებში ჩაერგო და თვალცრემლიანი იატაკს ჩაშტერებიდა.

- თუ შეიძლება პაციენტის პირველი დიაგნოზი მომეც... ექიმმა სიტყვის დასრულება ვეღარ შეძლო. ის გაოგნებული უცქერდა ქალს, რომელსაც მეცნიერისაგან მხოლოდ იმით განასხვავებდით, რომ ხელები უთროთოდა და პერიოდულად ამოიოხრებდა ხოლმე.

- ღმერთო ჩემო, ფერი არ გადევთ!

ექიმი სასწრაფოდ ჩანთას დასწვდა, საიდანაც წამლები და წნევის აპარატი ამოილო.

- ნამონექით, წნევას გაგიზომავთ.

ქალმა ხელით ანიშნა არაფერი მიჭირსო და ხმადაბლა ჩაიჩურ-ჩულა:

- ყველაფერი რიგზეა, გიორგის მიხედეთ.

ექიმმა არ იცოდა რა ექნა და დაბნეული ხან დედის, ხან კი შვილის მხარეს იხედებოდა. პაუზა ისევ ქალმა დაარღვია:

- მაპატიეთ, მაგრამ თქვენ წელან რაღაც მთხოვეთ.

პროფესორმა მზერა დედაზე შეაჩერა. ქალს ადამიანური ფერი დაბრუნებოდა.

- ქალბატონო ნუ ღელავთ, თქვენს შვილს სრულიად ჯანმრთელი ორგანიზმი აქვს. სახეზე გვაქვს, სხვადასხვა სასიცოცხლო პროცესთა გააქტიურების რეალური ნიშნები. მსგავს შემთხვევებში, როცა ადამიანი კრიზისიდან ასე აქტიურად გამოდის, მისი სრული გამოჯამრთელება აბსოლუტურად რეალური გახლავთ. ასე რომ გილოცავთ. მენდეთ, სანერვიულო არაფერია.

თუმც ექიმი დაბნეული ლაპარაკობდა, მისმა სიტყვებმა გაჭრა და ქალბატონ მზიას, სიხარულის პირველი ნიშნები დაეტყო.

- თუ არ ვცდები, წელან გიორგის პირველი დიაგნოზი ახსენეთ.

- დიას, თუ შეიძლება.

ქალბატონ მზიას უკვე ვეღარ იცნობდით. არაფერი მოგაგონებდათ იმ ადამიანს, რომელმაც წელან ექიმი შეაშინა. მან ჯერ საჩქაროდ თავი მოიწესრიგა და შემდეგ ენერგიულად გაემართა კედლის თაროსაკენ, საიდანაც გიორგის პირადი „სამედიცინო საქმე“ ჩამოილო და ექიმს მიაწოდა.

ექიმმა სათვალეები მოირგო, სწრაფჩამკეტი გახსნა და დიაგნოზს ჩახედა. შემდეგ სათვალეები ნერვიულად ისევ მოიხსნა და უაზრო გამომეტყველებით ქალბატონ მზიას მიაშტერდა, რომელიც შვილს სისხლიან თეთრეულს უცვლიდა.

- უკაცრავად... ეს რა არის?

ქალმა უკანმოუხედავად კითხვითვე უპასუხა:

- ბატონო?

- 1989 წლის 9 აპრილი... შეუძლებელია... ღმერთო ჩემო! ექიმი იქვე სკამზე ჩამოჯდა და დიდი გაჭირვებით სცადა ნერწყვი გადაეყლა-პა. ამის დანახვაზე, ქალმა თეთრეულს თავი ანება და გაბზარული ხმით ძლივს ნარმოსტევა:

- ეს რამეს ცვლის?

გამყინვაზი პაზის შემდეგ პროფესორი გონს მოეგო და გადაწყვიტა თავი ხელში აეყვანა.

- არა, არა, არაფერს. მაგრამ... იცით?

ექიმი საბუთებს ფურცლავდა და თან, შიგადაშიგ ყურადღებით უცქერდა პაციინტს. შემდეგ დედას მიუბრუნდა და ნამით ჩაფიქრებული, თითქოს აზრის გამოსათქმელად საჭირო სიტყვებს ეძებსო, განაგრძო:

- თუ ჩემს პრაქტიკას ვენდობით, ასეთი რთული კრიზისის შემდეგ ბიჭის ახლანდელი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად იძლევა.

ექიმი გაუტენავად საუბრობდა. გრძნობდა, რომ მისი პროფესორული თავდაჯერებულობა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა და სცადა დრო მოეგო, რათა თავად ჩამოყალიბებულიყო. ის ისევ ხელსაწყოე-

ბის ჩანთაში ჩალაგებას შეუდგა და წასასვლელად მოემზადა.

- ქალბატონო მზია, ეს სწორედ ის შემთხვევაა, რასაც ადამიანები სასწაულს ვეძახით და როცა ღმერთი, ჩვენ, მედიკოსებს, თავის არსებობას შეგვახსენებს ხოლმე. თან ასეთ შემთხვევებში, რა თქმა უნდა თუ ყველაფერი დინამიურად წარიმართა, ფიზიკური გაჯანსაღების პარალელურად, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პაციენტის მიერ ახალი რეალობის საღად აღქმას. როგორ გითხრათ... საქმე ეხება მის სულიერ მდგომარეობას. როცა გაიგებს, რომ თხუთმეტი წელი... ოცდათერთმეტი წლის ადამიანისთვის კომაში გატარებული თხუთმეტი წელი... თქვენ ალბათ გესმით?

მისდა გასაცრად, ამ სიტყვებს ის ეფექტი, რომელსაც ექიმი ელოდა არ მოუხდენია. მან ისევ ხელსაწყობის ჩანთაში ჩალაგება დაიწყო და წასასვლელად მოემზადა.

- თუ დაგჭირდით ნუ მოგერიდებათ, ნებისმიერ დროს დამირეკეთ.

ქალბატონი მზია საქმაოდ მშვიდად და აუდელვებლად უცქერდა ექიმს.

- ექიმი, მე თხუთმეტი წელი ველოდი ამ დღეს. არც ერთი წამით არ დამიკარგავს იმედი იმისა, რომ ჩემი შვილი ერთ დღეს თვალებს გაახელდა და იმ შეკითხვებზე მომთხოვდა პასუხს, რომლებსაც ალბათ თქვენ გულისხმობთ. ჩემთვის მთავარია კარგად იყოს, ხოლო... – ქალს თანდათან საუბარი გაუჭირდა, თვალები ცრელებით აევსო და ხმა აუკანკალდა.

- გიორგი ძლიერი ბიჭია და მოახერხებს ამის გადატანას. ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო... და თუ ყველაფერი ისეა როგორც თქვენ ბრძანებთ და... – ქალბატონმა მზიამ მეტის გაგრძელება ვეღარ შეძლო, თვალებიდან ცრემლი წასკდა და ხმა ჩაუწყდა.

### 3.

ამავე დღეს, ანუ 2003 წლის 23 ნოემბერს, თბილისის თავზე თვითმშერინავი გამოჩნდა. რეისით პარიზი — თბილისი, სამშობლოში ბრუნდებოდა საფრანგეთში საქმაოდ ცნობილი და პერსპექტიული მხატვარი მარიამ გავაშელი. ის ერთ — ერთ რიგში ილუმინატორთან მოკალათებულიყო და მოჩვენებითი ყურადღებით ჩასცერდა, მუხლებზე გადაშლილ ფრანგულენოვანი გაზეთის ფურცლებს. აფორიაქტული ჩანდა. პერიოდულად, თვალები ფურცლის რომელიმე ნაწილზე გაუშეშებულდა და შემდეგ ისევ ილუმინატორს გახედავდა ხოლმე, რომელშიც ჯერ მხოლოდ ბუნდოვნად მოსჩანდა, საქართველოს დედაქალაქის კონტურები. აგერ უკვე მერამდენე საათი იყო, ვერაფრით ვერ ჩაემთავრებინა სტატია, რომელიც საქართველოში მიმდინარე რევოლუციურ მოვლენებს შეეხებოდა და რომლის დასაწყისშიც ფრანგი ჯურნალისტი, მოკლედ განიხილავდა საქართველოს უახლოეს ისტორიას. სწორედ ეს, რამოდენიმე ისტორიული ამონარიდი გახლდათ მარის აფორიაქტის მიზეზი. გაზეთი წერდა: „ჩვენ შეგახსენებთ, რომ საქართველოს დედაქალაქის, თბილისის ცენტრალური გამზირი, არაერთხელ გამზდარა სხვადასხვა დაპირისპირების ეპიცენტრი. საბჭოთა კავშირის დატოვების სურვილი, ამ ქვეყანას საკმაოდ ძვირი დაუჯდა: 1989 წლის 9 აპრილს, კრემლის ბრძანებით საბჭოთა სამხედროებმა, სწორედ ამ გამზირზე დახოცეს უმონიუალოდ მშვიდობიანი მომიტინგები. სწორედ ეს გამზირი გახდა პირველი სამოქალაქო ომის ადგილი, რომლის შედეგადაც ის თითქმის მთლიანდ განადგურდა. თუმცა ეს მოვლენა, მომავალ უბედურებათა წყების მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა. ამ ომის შემდეგ ქვეყანა ქაოსმა მოიცვა და შემდგომი შიდა ომების შედეგად, საქართველომ დაკარგა კონტროლი თავის ორ რეგიონზე: აფხაზეთსა და სამხრეთ ისეთზე.“

გაზეთში მოყვანილმა ჩვენი ახლო ისტორიის ამ მოკლე ექსკურსმა, საბოლოოდ დაურღვია მარის სულის სიმშვიდე და წლების მანძილზე გაცრეცილმა ტკივილმა, ახალი ძალით იფეთქა. თუმცა ახლაც, ამ მდგომარეობაში, ნარსულს და მასთან დაკავშირებულ ტკივილს, საოცრად ეთავსებოდა მომავლის რწმენა, რომელსაც მთელი ეს წლები არასოდეს დაუტოვება მარტო. ეს რწმენა ამოძრავებდა და აძლევდა სასიცოცხლო ძალას მაშინაც, როცა სრულიად მარტო, ჯერ კიდევ ყმაწვილი გოგონა პარიზში, უცხო ქალაქში აღმოჩნდა და ეხლა, სწორედ ეს იმედი გახლდათ ერთ — ერთი მთავარი მიზეზი, რომლის წყალობითაც ყველასთვის მოულოდნელად გადაწყვიტა სამშობლოში ჩამოსულიყო და იმ პროცესებში მიეღო მონაწილეობა, რომელსაც მისი აზრით ქვეყნის შემდგომ ცხოვრებაში, გადამწყვეტი როლი უნდა

ეთამაშა. ამასთან ერთად, იყო სამშობლოში დაბრუნების სხვა, პირა-დად მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი მიზეზი; ბოლო რამოდენ-იმე დამე განუწყვეტლივ ესი ზმრებოდა გიორგი. რამოდენიმე წამით, ქიმერასავით გაიელვებდა პარლამენტის შენობის კიბეები და ამ კიბ-ეებზე, მასზე საკუთარი სხეულით გადაფარებული, თავგანწირული საყვარელი ადამიანი. ხანაც გიორგი ჩვეული, უშუალო ლიმილითა და მინდვრის ყვავილებით ხელში, თვალუნვდენელ მინდორში მისკენ მოდიოდა და დილაობით გაღვიძებულ მარის ვერაფრით ვერ გაეგო, თუ რის თქმას აპირებდა ამ დროს გიო მისთვის. იმის მიუხედავად, რომ რამოდენიმე წელინადი გასულიყო, რაც გიორგიზე საერთოდ არაფერი იცოდა და მისი დაუინებული თხოვნის მიუხედავად, ვერც მისმა დამ და მშობლებმა მიაგნეს მის ახალ მისამართს, აბსოლუტუ-რად დარწმუნებული იმაში, რომ გიორგი რა თქმა უნდა ცოცხალი იყო და მას რადაც არ უნდა დაჯდომოდა აუცილებლად იპოვიდა, მარი თორმეტი წლის შემდეგ, რევოლუციურ საქართველოში ჩამო-დიოდა.

და ამ ყველაფერთან ერთად იყო შიშიც. ყველაფერთან ერთად მისთვის უცხო, რაღაც უცნაური შიში შემოჰკარვოდა. ნუთუ იმედების გაცრუების მეშინიაო, ნუთუ ამ წლების პრაქტიკამ და ცხოვრების გამოცდილებამ მეტი ვერაფერი მასწავლა იმის გარდა, რომ იმედის გაცრუების მეშინოდესო. ალბათ ადამიანები სწორედ ამას ეძახიან ცხოვრებისეულ გამოცდილებას, როცა ახალგაზრდულ თავდავიწყებას და ენერგიას, იმედების რეალიზაციისთვის განკუთვნილი, პრაქ-ტიკულად გამომთვლელი თეორიული ფორმულები ენაცვლებაო. – ფიქრობდა მარი.

– საინტერესოა რომ ადამიანი, რომლის გაცნობაც ამდენი ხანია მინ-და, დღეს სრულიად შემთხვევით, თვითვმფრინავში გავიცანით. – უეცრად და სრულიად უცერემონიოდ მიმართა მარის, გვერდით სავარძელზე მოკალათებულმა ადამიანმა მას შემდეგ, რაც მუხ-ლებზე გადაშლილ კომპიუტერზე „Enter“ ის ლილაკს თითო დაკრა და სადღაც წერილი გააგზავნა. ეს კაცი ფრანგი რეპორტიორი, ანტუან პირესი გახლდათ. საქართველოში ერთ – ერთი ფრანგუ-ლი გაზეთისთვის, რევოლუციური მოვლენების ამსახველი ფოტო-მასალის მოსამზადებლად ჩამოდიოდა. ენერგიული, მოუსვენარი კაცი სჩანდა.

მარი გამოერკვა და გვერდით მჯდომს გახედა. ცოტა გაუკვირ-და კიდეც რომ ამ ადამიანს, რომელმაც მთელი გზა თავი მოაპეზრა, ბოლო რამოდენიმე წუთი ხმა არ ამოულია და ფიქრის სამუალება მის-ცა. გადაწყვიტა ცოტაც აეტანა ეს მომაპეზრებელი ადამიანი და ზრ-დილობის ნორმების სრული დაცვით, უნაკლო ფრანგულით მიუგო:

- ხომ ვერ მეტყვით, რამ გამოიწვია თქვენი ესოდენ დიდი ინტერესი?
- როგორ? – ალშფოთდა მეზობელი. – სწორედ თქვენი ამ მოკრძალებით ვარ ესოდენ მოხიბლული. მარიამ გავაშელი! ერთ – ერთი ნარმატებული ადამიანი საფრანგეთში. მხატვარი, რომლის ნახატებიც აღაფრთოვანებს უამრავ ადამიანს; მათ შორის თქვენს მონა მორჩილსაც. სხვათაშორის თქვენი ერთი ნახატი მეცა მაქვს.
- მართლა? – სხვათაშორის უპასუხა მარიმ.
- დიახ, ერთ პატარა გალერეაში შევიძინე.
- კოლექციონერი ხართ?
- ვერ ვიტყოდი. თქვენი ნახატის შემთხვევაში კოლექციონერობა არაფერ შუაშია. როცა ამ ნამუშევარს შევცვდი, არ მოგატყუბოთ და ჩემზე ძალიან იმოქმედა. ვერაფრით ვერ მოვწყდი და გადაწყვიტე მეყიდა.

იმით შეგულიანებულმა, რომ როგორლაც საუბარი აეწყო, ფრანგმა ემოციურად განაგრძო:

- დამიჯერეთ, გულწრფელად გეუბნებით. მას ქაშვეთი ჰქვია. მასზე გამოსახულია სიბერებული განათებული ეკლესია, რომელთანაც უამრავი ადამიანი ქაოსურად ირევა.

მარი წამით შეცბა და მოსაუბრეს გახედა. როგორც ჩანს, დღევანდელ მგზავრობას დავიწყება არ ენერა. ყველას და ყველაფერს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ განვლილი ჯოჯოხეთი, მისთვის სხვადასხვა სახით შეეხსენებინა. ჯერ კიდევ დილით პარიზში, როგორც კი ქუჩაში გამოვიდა და აეროპორტში წასასვლელად სახლთან ტაქს აჩერებდა, იქვე მაღაზიიდან, პოლიციამ დაახლოებით მისი ასაკის ადამიანი გამოიყანა, რომელიც ქართულად ხმამაღლა იგინებოდა და ნივთმტკიცებაზე, რომელიც ნაქურდალი შარვლის სახით იყო წარმოდგენილი, როგორც შეეძლო ისე, ყველა ევროპული ენის ნაზავით უმტკიცებდა, მე არ ამიღია, მაპრალებენო. ასეთი რამები სამწუხაროდ ადრეც ბევრი ენახა, მაგრამ დღეს განსხვავებულად განიცადა მისი თაობის ამ ერთ – ერთი, რიგითი წარმოშადგენლის ხევდრი. ახლა კი ეს ფრანგი, რომელსაც დღეს პირველად ხედავდა და რომელიც ნებით თუ უნებლიერ ამ ნახატის გახსენებით, ტკივილზე ტკივილს უმატებდა მარის.

ანტუან პირესს მისი დაბნეული გამოხედვა არ გამოპპარვია და ქალს თვალი თვალში გაუყარა, თითქოს მის თვალებში რაღაცის ამოკითხვას ლამობსო. მარიმ თავი უხერხულად იგრძნო, მოპრუნდა და მცირე ჰაუზის შემდეგ, თავისითვის ჩაილაპარაკა.

- მე კი დღემდე ვერ გამიგია, ეს ნახატი მიყვარდა თუ არა. – ეს ფრაზა, იმდენად დაბალი ხმით იყო წარმოთქმული, რომ წესით,

- სავარძლით მეზობელს არ უნდა გაეგო.
- შემიძლია დაგიბრუნოთ. – ისე წამოიძახა მოსაუბრემ, რომ არათუ გაიგო, არამედ პასუხის მოსაფიქრებლად წამიც არ დაუხარჯავს.
  - ანუ გაჩუქოთ. ამას სიამოვნებით გავაკეთებდი.
  - როგორც ჩანს, ეს წამუშევარი არც ისე ძვირფასი ყოფილა თქ-ვენთვის, რახან ასე ადვილად შეელიეთ. – წამოსცდა მამაკაცის უტაქტობით მოთმინებადაკარგულ ავტორს. თუმცა იმედის წა-პერწყალმა, რომელიც შესაძლებელს ხდიდა დაებრუნებინა თა-ვისი ერთ – ერთი პირველი ტილო „ქაშვეთი“, ამ უცხო, მომა-ბეზრებელი ადამიანისაგან, მაიც გაიელვა.
  - მხოლოდ იმ შემთხვევაში შეველევი, თუკი მისი გადმოცემა უსასყ-იდლოდ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე შედგება. – იქვე დაა-მატა პირესმა.
- სრულიად საფუძვლიანად მარის ისეთი გრძნობა დაუფლა, თითქოს ეს ადამიანი ყოველგვარი მორიდების გარეშე, მის სულში ხელებს აფათურებდა. გაბრაზებულმა უსიამოვნო საუბრის დასასრუ-ლებლად სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ისევ გაზეთს დახედა და გა-დაწყვიტა ბოლოს და ბოლოს, ბოლომდე ჩაეკითხა სტატია. გაზეთის უურნალისტი თხრობას განაგრძობდა: „ხოლო ამ დღეებში ერთ დროს საბჭოთა საქართველო, ისევ მიტინგებმა მოიცვა. რეგიონებიდან ჩამოსულმა უამრავმა ადამიანმა, ღამე დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე გაატარა და დილით, ხელისუფლების უპირობო გადად-გომის მოთხოვნით, მშვიდობიანი ფრონტის გაშლას გეგმავს. მათი განცხადებით, დილიდან მათ პროტესტს შეუერთდება დედაქალაქის მოსახლეობაც. „გადადგება“ და „კმარა“, ეს არის ის ლოზუნგები, რომლის წყალიბითაც მათი აზრით, არსებული რეჟიმი უახლოეს დღეებში თავის არსებობას დასრულებს. ჩვენს შეკითხვაზე: ხომ არ არის დაძაბულობა ხელისუფლებისადმი შიშით გამოწვეული? ოპო-ზიციის ერთ – ერთი ლიდერი გვპასუხობს: „დაძაბულობა გამოწვეუ-ლია არა შიშით ხელისუფლებისადმი, რომელიც ძალიან მალე აუცი-ლებლად წავა, არამედ იმით, თუ რამდენად გააღიზიანებს ქვეყნის პირველი პირი ადამიანთა მოთმინებას და მოუნევს თუ არა ხალხს, უფრო რადიკალური ზომების მიღება.“
- ევროპაში ფიქრობენ, რომ თქვენს ქვეყნას დიდი ცვლილებები ელის. თქვენ რას ფიქრობთ? – არ ისვენებდა სავარძლით მეზო-ბელი.

მარის გამომეტყველებით მან იგრძნო, რომ ცოტა არ იყოს გადა-ამეტა და მცირე პაუზის შემდეგ ღიმილით განაგრძო:

– გთხოვთ დააკმაყოფილოთ ჩემი უურნალისტული ცნობისმოყარეობა და პირობას გაძლევთ, მეტს აღარ შეგანუხებთ.

მარიმ ოდნავი, შეუმჩნეველი ღიმილით უპასუხა:

- დიახ, მეც ასე ვფიქრობ.

- გმადლობთ.

პირობა მალევე დაირღვა.

- მარი, მე მოხარული ვიქნები თუ კიდევ გნახავთ. რა თქმა უნდა, თუ წინააღმდეგი არ იქნებით.

ურთიერთობის საბოლოოდ გასარკვევად, მარიმ გაზეთი დაკეცა:

- სად უნდა მნახოთ?

- თბილისში სამი დღე დავრჩები და იქნებ ერთად გვევახშმა. ამბობენ თბილისი ლამაზი ქალაქიაო. მომიყვებით თქვენს ხალხზე, ქვეყანაზე.

მარი ჭოჭმანობდა. ერთის მხრივ საშუალება ეძლეოდა თავის ნახატზე დალაპარაკებოდა, მაგრამ უცხო ადამიანის წინადადება, ნახატს უსასყიდლოდ გადმოგცემთო, უხერხულად ეჩვენა.

- თქვენი სახელი შემახსენეთ.

- ანტუანი.

- ანტუან, მე ბევრი საქმე მაქვს. თორმეტი წელია სახლში არ ვყოფილვარ, ორ დღეში კი უკან, პარიზში უნდა დავბრუნდე. მაპატიეთ, ალბათ ვერ მოვახერხებ.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. პირიქით, მე უნდა მაპატიოთ.

მეზობელი გაჩუმდა და საცოდავი სახე მიიღო. მარიმ კი მას შეხედა და როგორც ხელოვან ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე, წამის მეასედში შეიცვალა აზრი.

- იცით... გადავიფიქრე. ტელეფონი გაქვთ?

- დიახ, აი.

ანტუანმა საჩქაროდ ტელეფონი ამოიღო.

- როუმინგი მაქვს.

- ნომერი ჩამანერინეთ და ხვალ დაგიკავშირდებით. ოლონდ ძალიან გთხოვთ, ახლა ცოტა ხანი გაჩუმდეთ.

ორივეს გაეცინათ. ანტუანმა საწერი პასტა მოიმარჯვა და ფურცელზე, ნომრის ჩაწერას შეუდგა.

თვითმფრინავმა თბილისის აეროპორტში დაშვება დაიწყო.

#### 4.

გიორგის და მარის საერთო მეგობარი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, მრავალი ორდენის კავალერი და ამ ომების შედეგად წელსქვევით ფუნქციადაკარგული დათო დანელია, დედასთან და უმცროს ძმასთან, პაატასთან ერთად, თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში ცხოვრობდა. მამის გარდაცვალებისა და დათოს ავადმყოფობის შედეგად დაჩაგრულ ოჯახს, უმცროსი ვაჟის ნარკოტიკებთან გადამეტებული სიყვარულიც ემატებოდა. საკმაოდ უჭირდათ. მოხუცებულ დედას იქვე, მეზობელ ქუჩაზე ხილ-ბოსტნის დახლი ჰქონდა გამართული და ოჯახს ვაჭრობით არჩენდა. თავის დროზე, როცა დათოს მესამე ოპერაცია დასჭირდა, დარჩენილი ვალების გასასტუმრებლად ბინის გაყიდვა და გარეუბანში, ამ ერთოთახიანი ბინის ყიდვა მოუნიათ. ეს ბინა ნორმალური მოთხოვნილებების ადამიანს, ძნელად თუ გამოადგებოდა საცხოვრებლად. ის ერთი მომცრო მისაღები ოთახის (რომელიც საძინებლის ფუნქციასაც ითავსებდა), ციცქა სამზარეულოსა და უფრო პატარა საპირფარეშოსაგან შედგებოდა. ბინა ნახევრად სარდაფი იყო, ასე რომ მასში დაბუდებული ნესტი, ოჯახის წევრების და მითუმეტეს დათოს ჯანმრთელობისთვის მისნრება ნამდვილად არ გახლდათ. ძმები ხშირად ჩხუბობდნენ, მითუმეტეს მაშინ, როცა დათო პაატას ნარკომან მეგობრებს, სახლიდან გინებით გაისტუმრებდა ხოლმე. რასაც თავის მხრივ, მისთვის ნერვოზული შეტევები და თეთრად გათენებული ლამები მოსდევდა.

საღამო ხანს დათო მისაღებ ოთახში, ხეიბრის სავარძელში იჯდა და ტელევიზორს შესცეკროდა, სადაც დედაქალაქის მთავარი გამზირიდან უახლოეს ცნობებს გადმოსცემდნენ. პარლამენტის შენობასთან მოვლენათა კულმინაცია მოახლოებულიყო და ხალხი, ხელისუფალის გადადგომის შესახებ საბოლოო განცხადებას ელოდებოდა. დედა სამზარეულოდან მისაღებში გამოვიდა, საწოლზე ჩამოჯდა და მოჩვენებითი ინტერესით თვითონაც ტელევიზორს მიაჩერდა. თუმცა ტელევიზორი და მიტინგები, როგორც სჩანს არაფერ შუაში იყო; ის სამზარეულოდან სულ სხვა რამემ გამოიყვანა, სულ სხვა რამეზე სურდა დათოსთან საუბარი და დაღლილ-დაქანცული ცოტა ხანი ასე, უაზრო გამომეტყველებით უცქერდა ტელევიზორს. შემდეგ გამომშრალი ხელებით თვალები მოიწვნიტა და შვილს მოუბრუნდა:

- დათუნა, პაატა ხომ არ გინახავს?
- არა, არ გამოჩენილა.
- დილით რომ წავიდა მას მერე არ მოსულა?
- არა.
- მე მეშინია შვილო, ყველაფერი თუ ისევ თავიდან დაიწყო მე უკვე ვეღარ გადავიტან. გუშინ მთელი დღე სახლში არ ყოფილა. დღეს

დილით მოვიდა და ისევ გაქრა. დადის დაბოლმილი, სიტყვას არ ამბობს.

ქალბატონ ნელის წინადადება არც კი დაემთავრებინა, როცა სწორედ ამ დროს, ოთახში პაატა შემოვიდა. დათოსა და დედის და-ჯინებული მზერის მიუხედავად, მას არავისთვის ყურადღება არ მი-აუქცია, კუთხეში მდგომ კომოდთან მივიდა, ბოლო უჯრა გამოალო და შეგ რაღაცის ძებნას შეუდგა.

- რას ეძებ? - ჰეკითხა დათომ ისე, რომ ცდილობდა ნერვებს არ აჰყო-ლოდა და არ აფეთხებულიყო.

- არაფერს, ისე. - უპასუხა პაატამ და თან თავისი საქმე, უჯრის ქექვა განაგრძო.

- ამას ხომ არ ეძებ? - გაუმეორა დათომ შეკითხვა, ხელი საკუთა-რი საჯდომი ბალიშის ქვეშ შეჰყო, იქიდან ქაღალდში გახვეული ნარკოტიკის ჩეკები ამოილო და პაატას აჩვენა.

- ამას ეძებ?

დედა ჯერ ბოლომდე ვერ მიმხვდარიყო რაში იყო საქმე და გაკირვებული პაატას უყურებდა. დათომ კი განაგრძო:

- დღეს სურათებს ვეძებდი და უჯრაში ეს ვიპოვე. რა არის ეს? ბა-რიგობამდეც მივედით? ა?

- პაატა რა არის ეს? - შიშით იკითხა დედამ.

პაატამ მოჩვენებითი გაუბედავი სიმკაცრით, შემობრუნება იკადრა: ჩემს უჯრაში რა გინდოდა?

დათომ თავის შეკავება ვეღარ შესძლო და იფეთქა:

- შენს უჯრაში კი არა, რამდენჯერ გითხარი ეს ნაგავი სახლში არ მოათრიო მეტქი.

ქალბატონი ნელი დათოსთან მივიდა და მისი დაწყნარება სცადა: - დათო რას ამბობ, ეს პაატასი?

პაატამ, მდგომარეობიდან მარტივი გამოსავალი იპოვა:

- არა დედა, რა ჩემია ტო? და საერთოდ, ეგ წამალი არ არის.

- ვის ატყუებ ბიჭო? დედაშენმა არ იცის რაცა ხარ? თუ პირვე-ლია, ან უკანასკნელი. დედაშენი რომ გადარდებდეს წამალზე არ შეჯდებოდი და იმ შენ ნარკომან, ნაბიჭვარ ძმაკაცებს სახლში არ მოათრევდი. გაიგე? - უფროს ძმას საბოლოოდ უმტყუნა ნერვე-ბმა, მაგიდიდან საფერილეს დასწვდა და ძმის მიმართულებით ისროლა. დედა ხელებში ეცა დათოს, შემდეგ ისტერიული ტირილი აუვარდა, თავი ხელებში ჩარგო და იქვე სკამზე ჩაიკეცა. პაატა იგივე მდგომარეობაში იატაკზე იჯდა. დათო ძმას შეეშვა და დე-დას შეუბრუნდა.

- დაწყნარდი დედა, ამას მე მივხედავ. ვიცი რაც უნდა მოვუხერხო. შენ არ ინერვიულო.

ამ დროს, დედის ქვითინში, პაატას ხმა გაისმა:

- დათო მომე რაა.

მცირე პაუზის შემდეგ, დათომ ღრმად ამოიოხოდა:

- ეხლა ადექი და წადი აქედან, თორემ ნიკას და ლაშას გეფიცები არ ვიცი რას გიზამ. ვინც ამას ელოდება, უთხარი დათომ წამართვა თქმ. თუ ბიჭები არიან, მოვიდნენ და წაილონ.

პაატა ადგილიდან არ იძვროდა:

- დათო ამის გარეშე ვერ წავალ, ხომ იცი არა?

- შენ წადი მოუსვლელში, შე საზიზლარო. – ჩუმად მოსთქვამდა დედა.

პაატა მიხვდა რომ წამლის დაბრუნებას პერსპექტივა არ უჩანდა და ოთახიდან გავარდა.

- რა ეშველება, საერთოდ წავიდა ხელიდან. დაიღუპება დათო, აუცილებლად დაიღუპება.

- დაწყნარდი დე, ეს დღეები მამა ალექსანდრეს ველაპარაკე. იქნებ სამივემ ერთად მონასტერში წასვლაზე დავიყოლიოთ. სხვა მე ვე- რაფერი მოვიფიქრე და მგონი არც არის სხვა გამოსავალი.

- არ დაგვთანხმდება ხომ იცი, არსად წამსვლელი ეგ არ არის.

- ნუ ნერვიულობ, რამეს მოვიფიქრებ.

დათო ხელების კანკალით, სიგარეტის მოკიდებას ცდილობდა.

## 5.

გამოვიდა თუ არა აეროპორტიდან, მარიმ თვალი არემარეს მოავლო და ხალხში ნაცნობი სახეების ძებნას შეუდგა. მის დასახვედრად, დედ-მამასთან ერთად მისი უმცროსი და, ნინოც უნდა მოსულიყო. იმ დროს, როცა მარი ქვეყნიდან წავიდა, ნინო მხოლოდ ოთხი წლის იყო და იმის მიუხედავად, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში მშობლები რამოდენიმეჯერ ჰყავდა მარის პარიზში, უმცროსი და ერთხელაც ვერ დაიყოლია მასთან ჩასულიყო. უცნაური სიჯიუტე დაუფლებოდა ნინოს: სანამ შენ არ ჩამოხვალ, ჩემი ჩამოსვლის იმედიც ნუ გექნებაო.

თავის მხრივ ჯიუტობდა მარიც.

აეროპორტთან საკმაოდ ბევრი ხალხი ტრიალებდა და მარიც, ნინოსა და მშობლების ძებაში თვალებს აქეთ – იქით აცეცებდა. რომ არა მონატრებული ადამიანის სურვილი, სასწრაფოდ შეხვედროდა ახლობელ ადამიანებს, მისი ემოციის ადამიანი აუცილებლად შეამჩნევდა რომ ამ ქვეყანაში, ამ წლების მანძილზე არც არაფერი შეცვლილიყო. ირგვლივ ისევ ისევ ჩაბინძურებული და გაპარტახებული იყო ყველაფერი, როგორც მან თორმეტი წლის წინათ, ქვეყნიდან მიმავალმა დატოვა.

ირგვლივ მართლაც საოცაარი სანახაობა იშლებოდა; იქვე შორიახლოს ნაგვის ურნასთან, ადამიანებს მუშტი – კრივი გაეჩაღებინათ იმის გასარკვევად, თუ ვინ იყო ამ ურნაში არსებული სიმდიდრის ბატონ – პატრონი. ირგვლივ კი იმდენი მათხოვარი ირეოდა, რომ თავი, ბრეხტის „სამგროშიანი ოპერის“ პერსონაჟი გეგონებოდათ.

ანტუანი მარის სწორედ იმ დროს მიუახლოვდა, როცა ამ უკანასკნელს ქველმოქმედების მთხოვნელებმა შეუტიეს და რომ არა ფრანგი რეპორტორის იერი, რომელმაც მათხოვრების ყურადღება მიიქცა, აქაოდა გვეშველა უცხოელიაო, მარის კარგი დღე არ დაადგებოდა. თან სწორედ ამ დროს მარის ვილაცამ ხმამაღლა დაუძახა და მანაც, მისკენ მომავალი მშობლები: ქალბატონი ქეთი და ბატონი ალექსანდრე დაინახა.

– დედა! – წამოიძახა მარიმ და საჩქაროდ მათხოვართა ალყა გაარღვია.

ემოციური შეხვედრისა და ხანგძლივი ურთიერთფერების შემდეგ, მარიმ დედა მოიკითხა:

– როგორა ხარ დედა? – მის ქართულს, ოდნავ ფრანგული აქცენტი დაჰკრავდა.

– როგორა ვარ და სიხარულით ლამის გავგიშდე. გუშინ რომ დამირეკე ჩამოვდივარო, ყურებს არ ვუჯერებდა. შენ როგორა ხარ ჩემი პატარა?

– კარგად დედა, ყველაფერი კარგად არის. – დაუფიქრებლად, თუმ-

- ცა თავდაჯერებულად უპასუხა მარიმ და მამამისს მიუბრუნდა, რომელიც ორიოდე მეტრის მოშორებით გაჩერებულიყო და დედა – შვილის შეხვედრას შესცექეროდა.
- შენ როგორა ხარ მამა, გული როგორა გაქვს? – ახლა მამას ჩაეხვია მონატრებული შვილი.
  - არა მიშავს შვილო, რახან შენ ჩამოხვედი... – უპასუხა მამამ. მარი კი თვალით უკვე ნინოს ეძებდა, რომელიც მამასთან ჩახუტებულმა დიდხანს ეძება ირგვლივ, მაგრამ ვერ იპოვა.
  - ნინო? ნინო სად არის? არ მოსულა?
  - დილიდან აიტეხა მიტინგზე უნდა წავიდეო. რომ ვუთხარი, სად მიდიხარ მარი ჩამოდის თქო, იცი რა მიპასუხა? – კითხვითვე უპასუხა ნინოს ქმედებით აღშფოთებულმა დედამ.
  - რაო?
  - მარი გამიგებსო და მაინც წავიდა. მამაშენიც არ უშვებდა, მაგრამ არავის არ უჯერებს, სულ შენი ხასიათი აქვს.
  - ასე თქვა? – გაეცინა მარის.
  - ასე თქვა ხო, ასე. რა გაგიკვირდა? მის ასაკში შენც ასე გიქროდა თავში. – გაეციხა დედამ მარიც.
  - უქროდა თორებმ რა შეიცვალა? როგორ გვინაია, ასე უცებ რატომ ჩამოფრინდა საფრანგეთიდან? – ჩაერია საუბარში მამა.
  - ამაზე მერე ალექსანდრე, გზაში ვილაპარაკოთ. წავიდეთ, რაღას ველოდებით. – დაფაცურდა დედა და მარის ჩანთებს დასწვდა. მარიმ კი ახლადგაცნობილი ფრანგი რეპორტიორის დასახმარებლად გასწია, რომელიც მათხვერებს ალყაში მოექციათ და სულ უფრო ავინროებდნენ. ცოტა ხანში, მშობლების დახმარებით სტუმარი დაიხსნა კიდეც და ისინი ანტუანს წარუდგინა:
  - ანტუან, ესენი ჩემი მშობლები არიან, გაიცანით.
- ანტუანმა თავის მხრივ შვებით ამოისუნთქა და დედ-მამას სათითაოდ ხელი ჩამოართვა. მისმა შეშინებულმა გამომეტყველებამ, ყველა გამხიარულა.
- მამა, დედა, ეს კი ფრანგი უურნალისტი, ანტუან პირესია. ცოტა ხნის ნინ თვითმფრინავში, ბევრად უფრო მხიარული იყო.
- ანტუანი მიხვდა, რომ ირგვლივ ჩამოვარდნილი უხერხული სიცილი მისით იყო გამოწვეული და ერთხელაც უკან გაიხედა. და რადგან თავი სამშვიდობოს ეგულებოდა, მანაც გაიღიმა.
- აქაური მოვლენების გასაშუქებლად ჩამოვიდა. – დაამატა მარიმ
  - დიდად მოხარული ვარ. – ნარმოსთქვა ფრანგმა ისევ ლიმილით და მხრები აიჩეჩა. – ნახვამდის მარი, იმედია კიდევ გნახავთ. – მან ყველას ხელი ჩამოართვა და ის იყო უნდა წასულიყო, რომ ისევ მოტრიალდა:

- ხომ ვერ მეტყვით ქალაქში როგორ უნდა მოვხვდე?
  - მოიცადეთ, აგერ ტაქსიც, თუმცა... - მარიმ ჩაუანგულ ჩაყვი-  
თლებულ შიგულის გახედა, რომელსაც ტაქსობის პრეტენზიაც  
ჰქონდა. - თუმცა არა, ჩვენ გაგიყვანთ. მანქანით ვართ.
  - არა, რას ამბობთ. მეტს მართლა ველარ შეგაწუხებთ, ტაქსით წა-  
ვალ. - ანტუანი თითქოს საბოლოოდ წავიდა, მაგრამ აშკარა იყო  
რაღაც აკავებდა. ისევ მოტრიალდა.
  - მარი, თქვენს ზარს ველოდები. - წამოიძახა ახლა უკუსვლით მიმა-  
ვალმა და წავიდა კიდეც.  
ქალბატონი ქეთი ისევ აწრიალდა.
  - წავიდეთ ალექსანდრე, რაღას ველოდებით. წავიდეთ მარი, სახლში  
ვილაპარაკოთ.  
დედამ მანქანაში ახალი ენერგიით წამოიწყო:
  - ეს ბიჭი ვინ იყო მარი? კარგი ბიჭი სჩანდა.
  - არავინ დედა. ხომ გითხარი ფრანგი უურნალისტია მეთქი, თვით-  
მფრინავში გავიცანი. მამა. - მიუბრუნდა მარი მამას. - შენ ყოვ-  
ელთვის ამბობდა ჩემზე სულ ჩემი ხასიათი აქვსო. თუ ნინო მე  
მგავს, ესე იგი შენც გგვანებია. რას იტყვი, ასე არ არის?
  - ასეა ასე, ერთმანეთზე უარესები ხართ ყველანი. - ჩაურთო ისევ  
დედამ. მამამ კი სარკეში მარის თვალი ჩაუკრა და მშვიდად საჭე  
დაატრიალა, რათა გზა, უკნიდან საყვირების წივილით მომავალი  
თავებიდი მძღოლისთვის დაეთმო.
  - რა არის ეს. რა უბედურებაა. სად ეჩქარება? - ახლა უკვე კარგა  
ხნის თვალს მითარებულ თავებდ მძღოლს მისდგა დედა და ერთი  
კარგად გამოილანდა.
- მარის ეს ყველაფერი უკვე აღარ ესმოდა. მანქანის ფანჯრიდან  
არემარეს ათვალიერებდა და თვითმფრინავში წარსულით დამძიმებული  
გონება, უკვე რეალობის სურათებით კიდევ და კიდევ უფრო უმძიმ-  
დებოდა. გარეთ ისევ ისეთივე მოღუშულ და გავერანებულ ქვეყანას  
ხედავდა, რომელშიც მისი არ ყოფნის თორმეტი წლის განმავლობაში,  
არავის მოსვლია აზრად, თუნდაც უანგიანი საგზაო ნიშანი გამოეცვ-  
ალა. საცოდავად გადაღუნული რკინის ეს საგანი, თავისებური სიმ-  
ბოლო გახლდათ, ჩვენი თხუთმეტწლიანი უბადრუე არსებობის.
- რას ფიქრობ მამა, რა ხდება რუსთაველზე?

ბედნიერი დედ-მამა, რაღაცაზე გულიანად იცინოდნენ. მარის  
შეკითხვა კი სიტუაციისთვის შეუსაბამო, აბსოლიტური სერიოზულო-  
ბით უდერდა.

მამა არ დაბნეულა, საყვირების კიუინებით მომავალ მორიგ  
თავებდ მძღოლს გზა დაუთმო, საჭე გაასწორა და ისე, თითქოს ამ  
კითხვას ელოდაო, მარის უპასუხა:

- მე რას ვფიქრობ შვილობ და, გუშინ რომ დამირეკე მოვდივარო არ გამკვირებია, თორმეტი წლის შემდეგ ასე, ერთ დღეში რომ გადაწყვიტე ჩამოსვლა. მივხვდი რაც მოგარბენინებდა. ჩვენ რა? ჩვენ უკვე ვინ რას გვეკითხება. ყველაფერს თქვენ სწყვეტთ და მოვლენებზე პასუხისმგებლობის ასაღებადაც მზად უნდა იყოთ, რაც ცოტა მეტვება. თუმცა არ ვიცი... არ ვიცი...
- მარი მამას ჩაეძია:
- მაინც? მითხარი რა, რას ფიქრობ? გადადგება?
- სხვა გზა არცა აქვს და სისულებსაც იმედია ალარ გააკეთებს. მე სხვა რამ მადარდებს შვილო, წარსული მახსენდება. მაშინაც ასე გაუაზრებლად ფაციფუცობდით.
- მაშინ ბავშვები ვიყავით მამა. ეხლა ყველაფერი სხვანაირად იქნება, აი ნახავ!
- ღმერთმა გისმინოს შვილო, ღმერთმა გისმინოს.
- მარი სიამოვნებით გააგრძელებდა საუბარს, დედას რომ ეცლია.
- ისევ ეს აქცია, მიტინგები. რა მოგივიდა ალექსანდრე? ამდენი ხანია შვილი არ გვინახავს, შენ კი? პარიზში რა ხდება მარი, გამოფენა როდისა გაქვს? - შეცვალა საუბრის თემა ქალბატონმა ქეთიმ.
- ერთ კვირაში. თიქმის ყველაფერი მომზადებულია. მე ორ - სამ დღეში ისევ უკან უნდა გავფრინდე. თუმცა შეიძლება მალე სამუდამოდ დავბრუნდე საქართველოში, ვინ იცის. მამა რუსთაველზე გამიყვანე რაა.
- დედა სახტად დარჩა.
- გაგიუდი? სახლში არ მოდიხარ?
- დედა არ ინერვილო, ჩემი ადგილი იქ არის და ძალიან გთხოვ გამიგო. ნინოსაც მოვძებნი და სახლში ერთად მოვალთ.
- მარი! ალექსანდრე უთხარი რამე, რას გაჩუმებულხარ. - ხავს ჩაეჭიდა დედა.
- თავს გაუფრთხილდით შვილებო, დედათქვენს ნუ გააგიუებთ. ისედაც ცოტა აკლია. - სთქვა სრულიად სერიოზული გამომეტყველებით ბატონმა ალექსანდრემ და მეუღლის პროტესტის მიუხედავად, მარი კოლმეურნეობის მოედანზე ჩამოსვა, რადგან ხალხის სიმრავლის გამო, რუსთაველის გამზირზე ასვლა შეუძლებელი იყო.
- მიყვარხარ მამა. - მანქანიდან გადმოსულმა მარიმ, მშობლებს ფანჯრებიდან სათითაოდ შუბლზე აკოცა და დედას, ნინოს მობილური ტელეფონის ნომერი გამოართვა. - ნინოს დაუურეკავ, კარგი? შენ კი არ ინერვიულო, პატარები ხომ არა ვართ.

## 6.

მარი მანქანას მოშორდა და აღმართს აუყვა. ჩვენც, მე და თქ-ვენ ძეირფასო მკითხველო, მივყვეთ მოვლენებს და მასთან ერთად გადავინაცვლოთ იქ, საიდანაც დაიწყო ყველაფერი, ანუ რევოლუციის ეპიცენტრში, თავისუფლების მოედანზე. მართალია პროცესები ცოტა ადრე დაიწყო და საბოლოო წერტილიც სხვაგან დაესვა, მაგრამ იმ დღეს ყველაფერი აქ, ამ მოედანზე დაიწყო. პროცესებს მთლიანობაში, ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით. ახლა კი მივყვეთ მარის.

აღმართზე ყოველი მხრიდან ადამიანთა პატარ – პატარა ნაკადები მოეშურებოდნენ და შემდეგ მთელი ეს მასა, ერთიანი ტალღით თავისუფლების მოედნისკენ იღვრებოდა. ამ ტალღას შეუერთდა მარიც და ცოტა ხანში ზემოთ ხსენებულ მოედანზე აღმოჩნდა, სადაც ლიდერები ზღვა ხალხს, ემოციური შეძახილებით ამხნევებდნენ. მარი იქვე, დიდი რუსი პოეტის, პუშკინის სახელმისი სკვერში გაჩერდა და შეეცადა მშვიდი გონებით შეეფასებინა ის, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. უნდოდა სათითაოდ ყოველი იქ მდგომისთვის ჩაეხედა თვალებში და ამოეკითხა ის, რაც ასე ძლიერ აკლდა უცხოეთში გადახვეწილს. ეს იყო მისი ხალხის ერთობა და მარის ერთიანობა მათთან. აი რა აკლდა ასე ძლიერ. იქნებ იყო რამე საერთო ამ აღტკინებასა და იმ, თხუთმეტი წლის წინანდელ აღტკინებას შორის. ან იქნებ მხოლოდ მისი სურვილი იყო ერთ ხარისხში აეყვანა ეს ორი მოვლენა, ეს ორი საერთო სახალხო ერთობა.

თუმცა არა, სიღრმისეულად ეს სრულიად სხვადასხვა რამ არისო. – ფიქრობდა მარი. ცხრა აპრილს დაწყებული ბრძოლა საბჭოთა ჰიდრასთან, იყო საუკუნეების მანძილზე დათრგუნული ოცნების ასრულების დასაწყისი, ამ ოცნების ირგვლივ გაერთიანებული, ერთი სურვილით ანთებული, სრულიად ქართველთა მანიფესტი. ეს კი სულ სხვა რამეა... ეს იმ საბჭოთა ჰიდრის ნარჩენი თავუკების მიერ შეურაცყოფილი და ბოლომდე ღირსებააყრილი ადამიანების, თავდაცვის ინსტიტუტი რეაქცია არისო მხოლოდ. (თუმცა, ალბათ ბოლომდე ვერ დაემთავრებინათ თავუკებს საკუთარი საქმე და ქართველებმა, ერთხელაც შესძლეს გაერთიერება) ალბათ ერთმანეთი მოგვენატრა, ალბათ მეც ვენატრებოდიო... მაგრამ უცხოეთში გადაკარგულს, მე ხომ არაფერი გამიკეთებია მათთვის... ან რა უნდა გამეკეთებინაო. – იმართლებდა თავს ამავდროულად. მთელი ეს წლები, ჩვენ მხოლოდ ტკივილი გვაკავშირებდა და მეტი არაფერი. მხოლოდ საერთო ტკივილი კი, არ არის საკმარისი ერთობის მისაღწევად. ალბათ სიხარულიც ერთი უნდა გვქონდაო. მერე რა რომ ცოტა იყო სიხარული, მომავალი ბედნიერებისათვის უნდა გვებრძოლაო ერთად. ეს წლები ალბათ არც მათ ვჭირდებოდი ძალიან, მაგრამ საერთო

ტკივილს მაინც უნდა ვეიძულებინეთ ერთმანეთი გვეძებნაო...

ამ დროს მარი გამოერკვა. ის მიტინგზე ატეხილმა ღელვამ გა-  
მოაფხიზლა. როგორც ჩანს, ლიდერებმა ხალხს უახლოესი სამიქე-  
ელო გეგმა გააცნეს და აქტიურ მოქმედებას აპირებდნენ. სახეზე  
იყო მარისა და ირგვლივ მყოფთა შორის ერთობის პირველი ნიშნები,  
რადგან რაც ფიქრებიდან გამოსულმა მარიმ პირველი გააკეთა იყო  
ის, რომ საკუთარი თავი დატუქსა: ეხლა მოქმედებაა საჭირო და არა  
ფიქრი, ფიქრს მერეც მოვასწრებო.

ვინაიდან მან იცოდა, რომ გამზირზე ერთმანეთის პარალელუ-  
რად ორი მიტინგი მიმდინარეობდა, ცნობისმოყვარეობით შეპყრო-  
ბილმა იმ თავისულობას მიაშურა, რომელსაც პარლამენტის წინ,  
ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის მომხრეები მართავდნენ. მასა,  
რომელზეც ახლა გვექნება საუბარი, საკმაოდ ჭრელად გამოიყუ-  
რებოდა. ჭრელი იმ გაგებით, რომ აბსოლუტურად გაუგებარი იყო.  
გაუგებარი იყო, თუ რა აკავშირებდა ამ ადამიანებს ერთმანეთთან  
და რატომ ცდილობდნენ ასე გამომწვევად, იქვე, მეორე მიტინგზე  
შეკრებილი ხალხის მოთმინება გამოიცადათ. ჭრელი იყო მათი შეძა-  
ხილებიც: ბაბუ! ბაბუ! სკანდირებდნენ ისინი და არათუ მარის, რო-  
მელიც კარგად არ იყო ჩახედული პროცესებში, არამედ სხვა, მოვ-  
ლენებში ბევრად უფრო კარგად გათვითცნობიერებულ ადამიანსაც  
გაუჭირდებოდა იმის გაგება, თუ რომელ ბაბუზე იყო საუბარი და  
შეეძლო თუ არა ამ ბაბუს, ამ სიბერებში, კიდევ რაიმე სიურპრიზის  
შემოთავაზება. თუმცა, მოდით ბაბუ – ები იქით გადავდოთ, ჩვენ კი  
ისევ მარის დავუბრუნდეთ.

შეკრებილებში იმდენად მუსირებდა შემოგდებული პროვოკა-  
ტორების თემა, რომ მარის საფუძვლიანი შიში დაეუფლა, ვინმეს  
პროვოკატორი არ ვეგონოო. ამ ეჭვს ამყარებდა რამოდენი ბაბუ  
– ისტის რენდგენისებული გამოხედვა, რომელთაც მარი თავიდან  
ფეხებამდე ჩაათვალიერეს და ვინაიდან მათ გამოხედვაში უზნეო აზ-  
რთა ნიშნებიც შეინიშნებოდა, მარიმ გაცლა არჩია. ის ორ მიტინგს  
შორის ჩახერგილ ავტობუსებს გასცდა და მას შემდეგ, რაც ისევ  
ბარიკადების მეორე მხარეს აღმოჩნდა, ტელეფონი ამოილო და ნინოს  
დაურეკა. რამოდენიმე ზარი ისე გავიდა, რომ ნინო ტელეფონს არ  
იღებდა, ხოლო როცა მარიმ იგივე ნომერზე ისევ გადარეკა, ტელე-  
ფონში უმცროსი დის დაბნეული და აფორიაქებული ხმა გაისმა:  
– ალო, გისმენთ! რომელი ხართ?  
– ნინო, მარი ვარ, სადა ხარ? – ნინოს ღელვა მარისაც გადაედო. –  
რა ხდება ნინო, სადა ხარ?  
– შენ სადა ხარ მარი? მე აქტა ვარ, მერიის ზემოთ, ლეონიძეზე.  
პირდაპირ ჩვენს წინ რაღაც ისროლეს. არ ვიცით რა არის. აქეთ

არ წამოხვიდე, მითხარი სადა ხარ და მე თვითონ ჩამოვალ. – ბოლო რამოდენიმე სიტყვა მარის ალარ გაუგონია; ის ამ დროს უკვე იქით გარბოდა, საითაც ნინომ მიუთითა.

სანამ თვითონ საპირისპირო მიტინგზე იყო, თავისუფლების მოედანზე თავმოყრილი ხალხი, ვინაიდან არ სურდათ პარლამენტის წინ შეკრებილ ხალხს შეტაკებოდნენ, შემოვლითი გზებით კანცელა-რიისკენ დაძრულიყო. სწორედ ამ დროს ისროლა ვიღაცამ ის მბო-ლავი შაშხანა, რომელიც არავის ჯანმრთელობისთვის საშიში არ იყო და უბრალოდ, პანიკისა და შიშის გამოსაწვევად იყო განკუთვნილი. სწორედ ამ შაშხანის შეემნიდა ნინოს და მოვიანებით მარისაც.

გაფითორებული მარი მალევე გაჩნდა იმ ადგილზე, სადაც ნინომ უთხრა და როცა უმცროსი და ვერსად დაინახა, დაბნეული ისევ ტელეფონს დასწვდა. თუმცა დარეკვა ვერც კი მოასწრო, რადგან სწორედ ამ დროს მის წინ პოლიციის კორდონი გაიხსნა და სახელმ-ნიფო კანცელარიისკენ მიმავალი კორიდორი გამოჩნდა. ხალხი ერ-თიანად ამ კორიდორისაკენ დაიძრა და მარიც თან გაიყოლა. ქუ-ჩის განაპირა კედლებთან მდგომი პოლიციელები, დამსახურებულ ყვავილებსა და მადლობებს იღებდნენ, საკუთარი საქციელით ამაყე-ბი მორცხვად იღიმებოდნენ და არ იცოდნენ კიდევ რა შეიძლებო-და გაეკეთებინათ, დღეს ამ ხალხის სასარგებლოდ. ტალღამ მარი პოლიციელთა კედელს მიაჯაჭვა და ის შექჩეა ერთ – ერთ ნიღბიან პოლიციელს, რომელიც ბოდიშს უხდიდა ვიღაც შავებში ჩატარებულ ხან-შიშესულ ქალბატონს, რომელიც მას გულში იხუტებდა და ლოცავდა. ამის დანახვაზე, მარის წამის მეასედში გაუქრა ყოველგვარი შიში და თავი ადამიანთა ახალ ტალღას მიანდო, რომელიც სულ მალე, სახ-ელმნიფო კანცელარიასთან აღმოჩნდა.

- როგორც კი ოდნავ გათავისუფლდა, მარიმ ისევ ნინოს დაურეკა:
- სადა ხარ ნინო?
  - მარი! არ ინერიულო კარგად ვარ, შენ სადა ხარ? – გაისმა, ნინოს შედარებით დამშვიდებული ხმა.
  - მე აქ, სახელმწიფო კანცელარიასთან. რას იზამ, ჩამოხვალ?
  - მარი, მე მანდ ეხლა ვერაფრით ვერ მოგხვდები, მერე დაგირე-კავ ხო? სახლში დავრეკე და ვუთხარი არ ინერვიულოთ, კარგად ვართ თქო. მერე შენც დარეკე, ხო? ეხლა ვერაფრით ვერ გნახავ, მაპატიე. მიყვარხარ მარი.
  - ხო კარგი, თავს გაუფრთხილდი. – მიაძახა მარიმ, მაგრამ ნინოს უკვე ტელეფონი გაეთიშა. გათიშა თუ არა თვითონაც ტელეფონი, სახლიდან დაურეკეს:
  - გისმენ დედა.
  - როგორა ხართ, სად ხართ მარი? – რეკავდა შეშფოთებული დედა.

- კარგად ვართ დედა, არ ინერვიულოთ.
- ნინო შენთან არის?
- არა ვერ ვნახე, მაგრამ დამირეკა და მითხვა კარგად ვარო, სახლ-შიც ველაპარაკეო.
- ხო დარეკა, მაგრამ ეგ როდის იყო. მარი, ნინო მონახე და წამოიყვანე. მეშინია.
- ხო, ხო დედა. მოვძებნი და მოვალოთ.

მოვლენები კი ელვისისისნაფით ვითარდებოდა. სახელმწიფო კანცელარიასთან შეკრებილი ხალხი აზრზე ვერ მოსულიყო, როცა ადამიანთა გარკვეული ნაწილი, ერთ - ერთი გამოკვეთილი ლიდერის ხელმძღვანელობით, კანცელარიის ზედა ქუჩით დაიძრა, რათა ოდნავ მოშორებით მდებარე პარლამენტის შენობასთან უკანა მხრიდან, სათადარიგო შესასვლელთან მოხვედრილიყო. ხოლო დანარჩენმა ნაწილმა მარის ჩათვლით, შესაშური ორგანიზებულობა გამოიჩინა და გადაწყვიტა, იგივე პარლამენტის შენობასთან რუსთაველის პროსპექტით, წინა მხრიდან, ცენტრალურ შესასვლელთან მოხვედრილიყო, სადაც ჯერ კიდევ „ბაბუ“ მომხრები იდგნენ.

ქალაქის ცენტრალურ გამზირზე ჩახერგილი ავტობუსები, მავანთა აზრით დაბრკოლება უნდა გამხდარიყო ხალხის მასისთვის, რომელმაც აქაც გამოიჩინა ორგანიზებულობა და ავტობუსებისგან მალევე გაანთვავისუფლა ქუჩა. ხოლო როცა პარლამენტის წინ მივიდნენ, მიმდებარე ტრიტორია დაცლილი დახვდათ. ამ დროისათვის ხალხის იმ ნაწილს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს ზედა მხრიდან მიადგა, მოესწრო და ახლადარჩეული, გაყალბებული პარლამენტის პირველი სხდომის ჩაშლა მოეხერხებინა. ქვეყნის მეთაურს სხდომათა დარბაზი დაეტოვებინა, გაძლიერებული დაცვის თანხლებით გარეთ გამოსულა, ისტორიული ფრაზა „ მტრის ჯინაზე არ გადავდგები ” წარმოუთქვამს და იქაურობას სასწრაფოდ გასცლია. პარლამენტთან შეკრებილთ ერთიც აღმოხდენიათ „ბაბუ არ მიგვატოვო“ – ო, მაგრამ რა დაუნახავთ რომ მათთვის არავის ეცალა, ისინიც გაპარულან.

მარი კი იდგა მისთვის კარგად ნაცნობი შენობის კიბეებთან და ისევ დიდი მონდომებით ცდილობდა, ორი მოვლენის ერთმანეთთან დაკავშირებას.

ნინო და მისი მეგობრები, მარიმ გვიან ღამით მთაწმინდაზე, პანთეონის ეზოში იპოვა. როცა მათ მარი შეუერთდა, ისინი პანთეონის მოაჯირს დაყრდნობილი, თბილის გადმოჰყურედნენ და მთელი დაბაბული დღის თავგადასავლებზე გულიანად იცინოდნენ. მას შემდეგ, რაც წინომ მას საკუთარი მეგობრები გააცნო, მარიმ დას სახლში წაყოლა სთხოვა.

- სახლში არ მოდიხარ ნინ? ნერვიულობენ. ალბათ ასჯერ დამირეკეს.
- ცოტა ხანი ვიყოთ მარი და წავიდეთ. სულ ცოტა ხანი, კარგი? უყურე... ნინომ თითი ქვევით, რუსთაველის გამზირისკენ გაიშვირა.
- ხვალ ამოვიდეთ, დღისით. ეხლა აქ რაღას ელოდებით? – ვერ მიუხვდა ნინოს მარი.
- ფეიერვერკებს. – სთქვა ყოველგვარი პათოსის გარეშე ნინომ და სიტყვა არც კი დაემთავრებინა, როცა მათ პირდაპირ ტკაცატკუცი გაისმა და ერთმანეთის მიყოლებით თბილისის თავზე ფერად – ფერადი, ცეცხლოვანი გირლიანდები დაეკიდა.

## 7.

ექიმის პრაქტიკულ სამედიცინო თეორიებს დიდი გამოცდა ელო-და. შეორე დილით მოხდა ისეთი რამ, რასაც არათუ ცალკე აღებული პროფესორი ავთანდილ ნოზაძე, არამედ მთელი მისი პროფესორთა არმიაც კი ვერ წარმოიდგენდა. იმ დროს როცა ქალბატონი მზია ფან-ჯარასთან იდგა და ჩაფიქრებული თეორეულს კემსავდა, გიორგიმ სრულიად გარკევით წარმოსთქვა:

- დედა, რამდენი ხანია რაც ასე ვარ?

ქალი გაქვავდა და ვინ იცის წაიქცეოდა კიდეც, რომ არ მოესწრო და იქვე სკამზე არ ჩამომჯდარიყო. გიორგიმ მცდელობის მიუხედა-ვად თავის შემობრუნება ველარ შესძლო და ისევ იმავე მდგომარე-ობიდან წარმოიძახა.

- დედა!

დედა დაძაბული წამოდგა, თეორეული იქვე სკამზე გადაკიდა, გიორგის მიუხახლოვდა და ბიჭის თავთან სკამზე ჩამოჯდა. მცირე პაუზის შემდეგ, ისე რომ მისკენ არც გაუხედავს, ათრთოლებული ხმით მიუგო:

- გიორგი, შენ ახლა სიმშვიდე გჭირდება. მთავარი ეს არის შვილო.
- მე მშვიდად ვარ დედა. რა ხდება? ასე უცებ ასე როგორ შეიცალე?
- გიორგი შვილო, ჩემო ბიჭი, ვიცი ბევრი რამეა ისეთი რაც უნდა იცოდე და გაიგებ კიდეც, მაგრამ შენთვის ჯერ ნერვიულობა არ შეიძლება. – ქალი გაჩერდა, მაგრამ გიორგი იმდენად დაუინებით ითხოვდა პასუხს, რომ დედას დაბნეულობისაგან წამოსცდა ის, რისი თქმაც არაფრით არ უნდოდა:
- ერთადერთი რაც შემიძლია ახლა გითხრა არის ის, რომ იმ საშინე-ლი დღის შემდეგ საკმაოდ ბევრი ხანი გავიდა და ჩვენს ირგვლი-ვაც ბევრი რამ შეიცალა. – დედამ მეტი ვერაფრის თქმა ველარ მოახერხა, აღელვებული, მაგიდიდან წამლებს დასწვდა, რამოდენ-იმე აბი ხელის გულზე დაიხვავა და ჭიქაში წყალი დაასხა.
- დე ძალიან გთხოვ, მე ყველაფერი უნდა ვიცოდე.
- ხომ დაგპირდი აუცილებლად გაიგებ მეთქი. ახლა კი წამლები უნდა დალიო და დაისვენო, კარგი?
- მარი როგორ არის?
- კარგად.
- სხვები? რატომ არავინ არ მოდის?
- ვინ შვილო?
- დათო, ლაშა და ნიკუშა.
- მოვლენ ჩემო პატარა, აუცილებლად მოვლენ. დღეს დავურეკავ.
- აქამდე რატომ არ დაურეკე? ან რა დარეკავ სჭირდებათ.

- ექიმმა ამიკრძალა და მხოლოდ ამიტომ. ახლა კი გთხოვ წამლები დალიო და დაისვენო.
- გიორგის აღელვება დაეტყო.
- დედა, ვიღაცამ ხომ უნდა ამიხსნას რა ხდება.
- შეშინებული ქალი ავადმყოფს ხელზე ეფერებოდა და თან დაპნეული ბუტბუტებდა.
- მაპატიე, მაგრამ დღეს მეტს ვერაფერს გეტყვი. ხომ გითხარი... შენთვის ამდენი საუბარი არ შეიძლება, დავურეკავ და აუცილებლად მოვლენ.
- როდის?
- ხვალ, ზეგ, არ ვიცი. ჩემო ბიჭო, ჩემო სიხარულო. გთხოვ ახლა წამლები დალიო და დაისვენო.
- ასეთი გასაცილდავებული დედა, გიორგის არასოდეს ენახა. თვითონაც ამ რამოდენიმე წუთში საშინლად დაიღალა და აღელვებულს გრძნობა მისდიოდა.
- კარგი დედა, დავლევ და დავისვენებ. შენც დაწყნარდი. მაგრამ ხვალ ყველაფერი აუცილებლად უნდა ამიხსნა, კარგი? წუ გეშინია, მე არაფერი მომივა.
- კარგი შვილო, აუცილებლად. ოლონდ ახლა წუ ინერვიულებ. დაისვენე, კარგი?
- დედამ გიორგის წამლები დააღვინია, გარკვეული ხანი გაუზძრევლად დაელოდა და როცა დარწმუნდა სძინავსო, ფეხაკრეფით ტელეფონთან მივიდა, ექიმის სავიზიტო ბარათი მოძებნა და ტელეფონის წომერი აკრიფა.
- ერთ საათში ექიმი ადგილზე იყო. მან პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დეტალურად გამოიკითხა, გიორგის მიუახლოვდა, გარეგნულად შეათვალიერა, პულსი შეუმონმა, შემდეგ დედას ანიშნა ყველაფერი რიგზეაო და ოთახის მეორე კუთხეში სკამზე ჩამოჯდა. ქალბატონმა მზიამ მის გვერდით, მეორე სკამზე დაიკავა ადგილი.
- აბა, ახლა მომიყევით რა მოხდა.
- ერთი საათის წინ სანამ თქვენ დაგირეკავდით, თხუთმეტი წუთით ადრე მელაპარაკა.
- გონება ხომ არ დაუკარგავს?
- გონება არა, მაგრამ ბოლოს საშინლად აღელვდა. დამამშვიდებელი აბები დავალევინე.
- კარგად მოქცეულხართ. რამე კონკრეტული ხომ არ გითქვამთ?
- როცა არ მომეშვა და მეც დაბნეულობისაგან სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, ვუთხარი რომ დიდი ხანია გასული და ბევრი რამ შეიცვალა მეტე.
- რატომ იჩქარეთ... – პროფესორი წამით დაფიქრდა და შემდეგ

რამოდენიმე სიტყვით, თითქოს საკუთარ თავს გაესაუბრაო: – ამ ბიჭმა სულ დამაბნია... არც კი ვიცი, რა არის კარგი და რა არის ცუდი.

- მეგობრებზე მკითხა, რატომ არ მოდიანო. – გამოარკვია ფიქრებიდან ექიმი, ქალბატონმა მზიამ. – დავურეკავ და მოვლენ მეთქი. იცით? თითქოს მომზადებული ვიყავი, თითქოს ყველაფერი კარგად მქონდა მოფიქრებული, მაგრამ ისე მიყურებდა.  
ექიმმა სცადა, თავდაჯერება დაებრუნებინა:
- პირველ რიგში დამშვიდდით და თავი ხელში აიყვანეთ. ახლა გიორგის ისე სჭირდებით, როგორც არასდროს. იქნებ მართლაც დავურეკოთ მეგობრებს და ჯერ მე შემახვედროთ მათთან. ბიჭის გონებას ფრთხილი მოპყრობა სჭირდება. არ უნდა ვიჩქაროთ.
- ბატონო ავთო, არ მოსვენებს სანამ მათ არ ნახავს და ყველაფერს არ გაიგებს. რომ გენახათ, როგორი ენერგიით გაიღვიძა... თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს.
- თქვენი შვილი სულ უფრო მაოცებს. ის თხუთმეტი წლის შემდეგ, გუშინ მოვიდა აზრზე და უკვე შეეკითხებზე პასუხებს ითხოვს. ერთის მხრივ მკურნალობის თანმიმდევრულობა უნდა დავიცვათ, ხოლო მეორეს მხრივ, გიორგი არც ერთ კანონზომიერებას არ ემორჩილება. არ ვიცი...
- რას ფიქრობთ, ჯერ არ ვუთხრათ? მკითხა ასე უცებ, ასე როგორ შეიცვალეო?
- არა, არა, აუცილებლად უნდა ვუთხრათ. მაგრამ საჭიროა რაღაც ფორმშ მოვძებნოთ.
- ჩემი აზრით ბატონო ავთო, სწორედ მეგობრების, ხოლო უფრო სწორად, ერთადერთი დარჩენილი მეგობრის მოყვანა არ ღირს. ეს გიორგის საბოლოოდ გაანადგურებს.
- რაშია საქმე?
- ოთხი ადამიანი, რომლებიც დღეს გიორგიმ ახსენა, მისი ბავშვობის მეგობრები, მასთან გაზრდილები და თანაკლასელები იყვნენ. ცხრა აპრილის ღამესაც, მიტინგზე ერთად წავიდნენ. მათგან ორი ცოცხალი აღარ არის; ღამა და ნიკა აფაზეთში დაიღუპნენ. დათოც მათთან ერთად იბრძოდა და ომიდან ხეიბარი დაბრუნდა. მარი კი, რომელსაც გიორგი გადაეფარა ცხრა აპრილს, მხატვარია და პარიზში ცხოვრობს. რომ იცოდეთ როგორ უყვარდათ მარის და გიორგის ერთმანეთი. ბავშვური, ლამაზი სიყვარულით. სამი წელი ელოდა გიორგის გამოჯანმრთელებას. შემდეგ კი როცა ომები დაიწყო და ყველაფერი აირია, მშობლებმა აქაურობას მოარიდეს და ევროპაში გააგზავნეს. გუშინდელივით მახსოვს როგორ ემშვიდობებოდა კომაში მყოფს, როგორ ესაუბრებოდა. წავიდა და

მას შემდეგ ალარც ჩამოსულა. ასე რომ მხოლოდ დათოს მოყვანა შეგვიძლია და მისიც მხოლოდ საგარძლით.

სანამ დედა საუბრობდა, ექიმი ქალს ჩაფიქრებული უსმენდა და თან ავადმყოფს მისჩერებოდა. შემდეგ ფანჯარასთან მივიდა და მცირე პაუზის შემდეგ, ისევ გიორგის გახედა.

- საცოდავი ბიჭი, ეს რა უბედურებაა.
- რას გულისხმობთ?
- რას ვგულისხმობ? განწყვეტილ და დაბეჩავებულ თაობას ქალბატონო, რას უნდა ვგულისხმობდე.

დედამ მშვიდად განაგრძო:

- ექიმო, როცა ამაზე ვფიქრობ ხოლმე, ისეთი გრძნობა მიჩნდება, რომ უახლოეს მეგობრებში კი არა, მის ნაცნობებში და საერთოდ, ზოგადად მის თაობაში გამიჭირდება ისეთი ადამიანის მოქებნა, რომელსაც თავად არ ექნება სულიერი პათოლოგიები და რომელიც ამ მდგომარეობაში მყოფ გიორგის ნორმალურად აუხსნის, თუ რა მოხდა მისი არ ყოფნის დროს ამ ქვეყანაში. არადა იმდენი რამ მოხდა. მას კი ისე უყვარდა თავისი ქვეყანა. ბატონო ავთო, სწორედ ამის მეშინია.

ექიმი აუჩქარებლად საკამს დაუბრუნდა.

- ქალბატონო მზია, ჩემი აზრით საუკეთესო გამოსავალი იქნება თუ ხვალ, როცა გიორგი საუბარს გაგიბამთ, თქვენ მშვიდად, ზოგადად ისაუბრებთ და მას, დათოსთან შესახვედრად შეამზადებთ. მხოლოდ ეცადეთ, შეძლებისდაგვარად ზოგადად ელაპარაკოთ და არავითარ შემთხვევაში არ ახსენოთ დალუპული მეგობრები. სასურველია თუ იმ გოგონაზეც, ჯერჯერობით თქვენ არაფერს ეტყვით. უთხარით რომ დათო უბედური შემთხვევის შედეგად დაინვალიდდა, რომ ის მაღლ მის სანახავად მოვა და თავად აუხსნის ყველაფერს. თუ მაინც ჩაგეძიათ, უთხარით რომ მეტს ვერაფერს ეტყვით, რომ ნერვიულობთ, გადაილალეთ და უმჯობესია, ეს მისმა მეგობარმა გააკეთოს. - ექიმი მიხვდა, რომ დედა მის აზრს არ იზიარებდა და მეტი დამაჯერებლობისთვის განაგრძო:
- დამიჯერეთ, იმ ბიჭზე უკეთესად ვერავინ აუხსნის. ამასთან ერთად, თუ მის ტელეფონის ნომერსაც ჩამანერინებთ, დღეს აუცილებლად დავურებავ და დაველაპარაკები. თქვენ კი ხვალ, გიორგისთან საუბრის მოჩენისთანავე, აუცილებლად დამირეკეთ.

ახლა კი უნდა წავიდე, მაპატიეთ.

- კეთილი, ტელეფონის ნომერს მოგცემთ.

ქალი სწრაფად წამოდგა, კედლის თაროდან ფურცლები გადმოილო და დათოს ნომერი მოძებნა. ექიმმა დედას ტელეფონის ნომერი გამოართვა და წასვლა დააპირა, თუმცა კარებთან ისევ შემო-

- ტრიალდა და ჩანთიდან გიორგის „სამედიცინო საქმე“ ამოიღო.
- იცით რა მაინტერესებს? გიორგის სამედიცინო დასკვნებში, აი აქ ერთ ადგილზე, ოდნავი გაურკვევლობაა. – პროფესორმა ფურც-ლები გადაქექა და რამოდენიმე ცნობა ქალბატონ მზიას აჩვენა.
  - ცხრა აპრილის ტრავმიდან გარკვეული ხანი, შედარებით კარგი მდგომარეობაა, რაც მოგვიანებით მძიმდება. ზუსტი თარიღი და მიზეზები კი, ამ ცნობებით ოდნავ გაურკვეველია.
  - დედას ფურცლებზე არც კი დაუხედავს:
  - ვიცი რასაც მეკითხებით. 1989 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული, გიორგის მდგომარეობა მძიმე იყო, მაგრამ პერიოდულად სასიკე-თოდ იცვლებოდა, ხანაც პირიქით; ანუ რაღაც ძვრები იყო. საბო-ლოოდ კი, 1991 წლის 22 დეკემბერს გაითიშა. მას შემდეგ თორმე-ტი წელი, მისთვის სუნთქვის გარდა, არავითარა რეაქცია არ შემ-ინიშნავს. მიზეზები მაშინაც ვერ გაარკვიეს, რას არ ამბობდნენ ვინ იცის.
  - რამე სხვა დასკვნებიც ხომ არ არის სადმე?
  - არა ბატონი ავთო, რაც მქონდა ყველაფერი იმ დღეს მოგართ-ვით.
  - კარგი, ნახვამდის. მერწმუნეთ ქალბატონი, თქვენი შვილის ახ-ლანდელი ფიზიკური მდგომარეობა, უპრეცენდენტო და უნიკალ-ურია. თქვენ მართლაც ძლიერი და მაგარი ბიჭი გყავთ.
  - ბატონი ავთო, არც კი ვიცი მაღლობა როგორ გადაგიხადოთ.
  - გიორგის მიხედეთ და ჯერჯერობით, სხვა ნურაფერზე ინერვი-ულებთ. კარგად ბრძანდებოდეთ.
  - ექიმმა გიორგის ერთხელაც დახედა და წავიდა.

## 8.

იმავე სალამოს, დანელიების სახლში ტელეფონმა დარეკა. დედა სახლში შედარებით ადრე დაბრუნებულიყო და სამზარეულოში საქმით იყო გართული. ხეიბრის სავარძელი, რომელშიც დათოს, გაზეთის კითხვისას ბავშვივით მოკუნტულს ჩასძინებოდა, მისაღებ ოთახში, ფანჯარასთან იდგა.

- დედამ ოთახი ფეხაკრეფით გაიარა და ყურმილს დასწვდა:
- გისმენთ.
  - გამარჯობათ ქალბატონო, თუ შეიძლება დათოს თხოვეთ დანელიას.
  - დათოს სძინავს. ვინ კითხულობს?
  - მე დათოს მეგობრის, გიორგი ჩიქოვანის პირადი ექიმი, ავთანდილ ნოზაძე გახლავართ.
  - ბოდიშს გიხდით, მაგრამ რომელი მეგობრის?.. თუმცა ერთი წუ- თით, ეხლავე თავად გავალვიძებ. – ქალმა ყურმილი გვერდზე გა- დადო და ფანჯარასთან მივიდა.
  - გაიღვიძე შვილო, ტელეფონთან გთხოვენ. – ფრთხილად გამო- აღვიძა დედამ შვილი და შუბლზე ჩამოშლილი თმა ხელით გადაუ- ვარცხნა. დათო ზანტად გაიმართა წელში.
  - ჟო დედა, რა იყო?
  - გირეკავენ შვილო.

დათოს მეგობრები არ ჰყავდა, ხშირად არ ურეკავდნენ და არც იქით ურეკავდა ვინმეს. არც ვეტერანების სხვადასხვა ორგანიზაცი- ების წევრი იყო და საერთოდ, არაფერში არ ერეოდა.

- ვინ არის?
- არ ვიცი, დათოს მეგობრის პირადი ექიმი ვარო. – დედამ სავარ- ძელი ტელეფონთან მიავორა და სამზარეულოში გაბრუნდა.
- სამაგიეროდ, მათ სახლში ხშირად რეკავდნენ უმცროსი ძმის სა- ეჭვო ნაცნობები, საჩივრებით წაგებულ ფულსა და ვალებზე, რომ- ლებსაც პაატა, ელვისსინრაფით აგროვებდა.
- ვინ მეგობრისო, სად მყავს მეგობრები? – თავისთვის ჩაიბუტბუტა დათომ და ყურმილს დასწვდა.
- გისმენთ.
- გამარჯობათ დათო. მე პროფესორი ავთანდილ ნოზაძე გახლა- ვართ. თქვენი მეგობრის, გიორგი ჩიქოვანის მკურნალი ექიმი.
- დათოს ენა დაება:
- ვისი?
- დათო, პირველ რიგში ძალიან გთხოვთ არ აღელვდეთ და ყურა- დლებით მომისმინოთ. თქვენი ტელეფონის ნომერი გიორგის დე- დამ, ქალბატონმა მზიამ ჩამანერინა.

ექიმმა კიდევ სთქვა რაღაც, მაგრამ დათოს ბოლო სიტყვები აღარ გაუგონია, ხელები აუკანებულდა და ერთ ადგილს მიჩერებულმა, არაადამიანურად დაილრიალა. ამის გაგონებაზე ოთახში დედა შემოვარდა და დაბნეული, შვილს ფეხებში ჩაუვარდა:

- რა მოხდა შვილო, შემომხედე დათო, რა მოგივიდა?

დათო ტიროდა.

- გიოც არა მყავს დედა, გესმის? ასეთი რა დაგიშავე ღმერთო? მე რატომ გადავრჩი? - დათოს საბოლოოდ უმტყუნა ნერვებმა და ისევ ღრიალს მოჰყვა: - მე რატომ არ მოვკვდი?

შეშინებული დედა, ხელებს უკოცნიდა შვილს.

- დაწყნარდი შვილო. დაწყნარდი და მშვიდად ამიხსენი რა მოხდა, კარგი? ვინ იყო? რა გითხრა? - ამ დროს, იქვე მონოტონურად გაისმა:

- ალო, ალო!

დედამ მაგიდაზე გადაკიდებულ ტელეფონის ყურმილს გახედა და საჩქაროდ ყურთან მიიტანა.

- დიახ გისმენთ?

- ქალბატონო ყველაფერი რიგზეა, შვილიც დააწყნარეთ. - არანა-კლებ აფორიაქებული სჩანდა ექიმი. - პირიქით, გიორგი ჯანმრთელად და კარგად არის. გუშინ კომიდან გამოვიდა

- ღმერთო, გიორგი... თავისითვის ჩაილაპარაკა დედამ. შემდეგ გამოერკვა და თვალცრემლიანი, ისევ შვილის ფეხებთან ჩაიმუხლა.

- ცოცხალიაო გამიგე? ამდენი წლის შემდეგ დათუნა... შენი გიოცოცხალია, გესმის?

დათო გაყინული და დაბნეული თვალებით, უაზროდ იყურებოდა. დედა კი ისევ ყურმილს დასწვდა.

- ალო! დიახ გისმენთ.

- ქალბატონო, გიორგი კარგად არის. კომიდან გამოვიდა და თავს ჯანმრთელად გრძნობს. მას ახლა დათოს დახმარება სჭირდება, თუმცა ალბათ აჯობებს ჯერ ბიჭს დაწყნარება ვაცალოთ. თუ თქვენს მისამართს ჩამანერინებთ და წინააღმდეგი არ იქნებით, ორ საათში სახლში გამოგივლით და დათოს პირადად გავესაუბრები.

- დიახ, რა თქმა უნდა.

დედამ პროფესორს მისამართი უკარნახა, ყურმილი ადგილზე დაკიდა და შემდეგ, ისევ დათოს მიუბრუნდა:

- კარგად არის და შენი დახმარება სჭირდება შვილო. ექიმმა სთქვა შენზე, ცოტა დაწყნარდესო. აქ უნდა მოსვლა და შენთან გასაუბრება. - ქალი მაგიდის უჯრასთან მივიდა, დათოსთვის დამაშვიდებელი აპები ამოილო და წამით ჩაფიქრებულმა, თავისითვის ჩაილაპარაკა:

- მაპატიე გიორგი... ალარც კი მახსოვდი. დათოსაც სჭირდება შენი დახმარება.

დათომ დამამშვიდებელი აბები დალია და ქაოსურ ფიქრს მიეცა, რომელმაც ნელ-ნელა კონკრეტული სახე მიიღო, დალაგდა და მას ნათლად დაუდგა თვალწინ ყველა ის ბავშვობის ეპიზოდი, რომელიც მას და გიორგის ერთმანეთთან აკავშირდებდათ. გაუჭირდებოდა კი-დეც გაეხსენებინა ის დღე, რომლითაც მათი ურთიერთობა დაიწყო. რაც თავი ახსოვდა, ისინი სულ ერთად იყვნენ. ისინი და მათი სამი განუყრელი მეგობარი. ახსენდებოდა ყველა უმნიშვნელო კინკლაობა და გაუგებრობა, რომელიც ბავშვობაში მოსვლოდათ ერთმანეთში. გიორგის ხომ მარი უყვარდა. ერთ დროს, თითქოს დათომაც იგრძნო რაღაც მეგობრულზე უფრო მეტი, ბავშვობის მეგობრისა და უახლოესი მეგობრის შეყვარებულის მიმართ. თუმცა, მაშინვე ვაჟკაცურად უკან დაიხია და გულში ჩაიმარხა, ჯერ კიდევ გაულვივებელი სიყვარული. იხსენებდა რომ ერთხელ, როცა ნიკუშამ შემთხვევით გიორგის თავი გაუტეხა, რამდენი დღის დაუდალავი დაპლომატიური შრომა დასჭირდათ მას, ლაშას და მარის მათ შესარიგებლად. თუმცა ამ ბეჭდიერმა ეპიზოდებმა, მალევე დაუთმეს ადგილი იმ საშინელებებს, რომლებიც ბავშვობის დამთავრებასთან ერთად იწყებოდა. რომ არა გიორგის მოულოდნელი გამოჩენა, შეიძლება კიდევ ბევრი ხანი არ გახსენებოდა ეს ბეჭდიერი წუთები.

ზოგადად ამ თაობის ადამიანებს, ორიენტაციის ერთი წერტილი აქვთ და მას ცხრა აპრილი ჰქვია. ყველაფერი კარგი: ბავშვური სილადე და სილამაზე, ამ დღეს რჩება და იწყება საწინააღმდეგო: ამაზრზენი და საშინელი დღეები, რომელიც საქმაოდ დიდ ხანს, თხუთმეტი წელი გაგრძელდა. იჯდა დათო და იხსენებდა ამ ყველაფერს. ცხრა აპრილის მოგონებამ ისევ გიორგი და მარის სიყვარული გაახსენა. გიორგის თავდადება მარის გადასარჩენად და თხუთმეტ წლიანი კომა. რა უნდა ეთქვა? როგორ უნდა აეხსნა გიორგისთვის მთელი ის უბედურება, რომელიც მთელი ამ წლების მანძილზე გადაეტანა და ენახა. რა თქმა უნდა მას ძალიან მალე ნახავდა, მაგრამ ისე მოულოდნელად მოხდა ეს ყველაფერი და ისე სწრაფად დაირღვა შეჩვეული, მონოტონური ყოფა, რომ დათო საშინლად დაბნეულიყო. რომელი ამბით დაიწყებდა მოყოლას? რომელი ერთით. ისევ მოვლენათა ჯაჭვს დაუბრუნდა: ცხრა აპრილს მოჰყვა მოგონებები სამოქალაქო ომებზე, დანგრეულ რუსთაველის გამზირსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში დახვრეტილ მშვიდობიან მომიტინგებზე. ციტატები ზოგიერთი მაშინდელი სამარცხვინო ხელისუფალის ფრაზებიდან: თურმე წუ იტყვით და „თავად ნაპოლეონიც კი აძლევდა თავის ჯარისკაცებს, დაპყრობილ ტერიტორიებზე, რამოდნიმე დღით

თარეშის „უფლებას“. ამ საბაბით ზემოთ ხსენებული, „ჩვენი დროის ნაპოლეონი“ თავის „ბიჭებს“, სამეგრელოს ძარცვა – გლეჯის უფლებას აძლევდა. ალბათ ამავე მიზეზით, არც საქართველოს სხვა კუთხებს დადგომიათ კარგი დღე. გაიხსენა ოთხივე სამოქალაქო ომი და აფხაზეთში დალუპული მეგობრები: ნიკა და ლაშა. წლების მანძილზე, აბსოლუტურ უმოძრაობაში მყოფი ქვეყანა და ბოლოს, საქართველოს უახლესი ისტორიის უდიდესი სიმახინჯე: ყველაფერი ამის შემოქმედი ადამიანის წინაშე, მისი არ გადადგომის მოთხოვნით, ამავე რუსთაველის გამზირზე დაჩოქილი ქართველები.

დათო, კარებზე ზარმა გამოაფხიზლა. კარი დედამ ისე გააღო, რომ დათომ ვერც კი შეამჩნია როგორ ჩაუარა გვერდით. კარებში გიორგის ექიმი იდგა.

- კიდევ ერთხელ მოგესალმებით ქალბატონო. მე გიორგის ექიმი ვარ, ავთანდილ ნოზაძე. – მორიდებით გაეცნო ქალს, ჩვენთვის უკვე ნაცნობი პროფესორი.
- დიახ მობრძანდით. – დედამ ექიმს ჩანთა გამოართვა და ოთახში შეუძლვა.
- როგორ არის? – ჩუმად იკითხა ექიმმა.
- შედარებით დამშვიდდა და გელობდათ. მობრძანდით.
- ქალბატონი ნელი, ექიმს მისაღებ ოთახში შეუძლვა და თვითონ დათოსკენ გასწია.
- ექიმი მოვიდა დათო. თავი ხელში აიყვანე კარგი? – სთხოვა დედამ და სავარძელი შემოატრიალა.
- ხო, ხო დედა. – დაამშვიდდა დათომ დედა და თავის მოწესრიგებას შეუდგა.
- გამარჯვობათ დათო. – ექიმმა ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო და დათოს ენერგიულად ხელი ჩამოართვა.
- გამარჯობათ. – დათომ სავარძელი მაგიდასთან მიაგორა და ექიმიც მიიწვია.
- დაბრძანდით ჩემო ბატონო.

ექიმი დაჯდა და ირგვლივ ჩამოვარდნილი მცირე უხერხულობის შემდეგ, გაუბედავად დაიწყო:

- გიორგი კარგად არის დათო, სანერვიულოც არაფერია.
- ექიმო, მე მედიცინაში ვერ ვერკვევი მაგრამ, თხუთმეტი წლის შემდეგ... ამას თქვენს ენაზე რა ჰქვია?
- სასწაული დათო, აბსოლუტური სასწაული. თქვენ კი არა მეც და ჩემზე ძლიერი მეცნიერებიც გაოგნებული არიან. ეს ის შემთხვევაა, როცა პრაქტიკული მეცნიერება ფარხმალს ჰყრის და ღმერთის ყოვლისშემძლეობას აღიარებს. აქ გადამწყვეტი როლი გიორგისაც ეკუთვნის, ის ძლიერი ადამიანია.

- ყოველთვის ასეთი იყო. ჩემთან დარეკვა თვითონ გთხოვათ?
- არა, თავად გადავწყვიტე ასე. რადგან პირველი რითაც ის დაინტერესდა, თქვენი მოუსვლელობის მიზეზია. ქალბატონში მზიამ საქმის კურსში ჩამაყენა და ვიცი თქვენი მეგობრების ტრაგედის შესახებ. მან ჯერ იმ გოგონაზე, მარიზეც არაფერი იცის. ამას ემატება უამრავი მოვლენა, რომელიც მისი ავადმყოფობის დროს, ჩვენს ირგვლივ მოხდა.
- და ეს ყველაფერი მე უნდა ავუხსნა არა? – დათოს აღელვება და-ეტყო, თუმცა ამის მიუხედავად, ექიმი მაინც განაგრძობდა. როგორც სჩანს, მეაცრად ჰქონდა გადაწყვეტილი, სათქმელი ერთი ამოსუნთქვით ჩაემთავრებინა.
- ამას თქვენსა და დედამისის გარდა ვერავინ გააკეთებს. ქალბატონი მზია კი ნამდვილად არ გახლავთ იმ მდგომარეობაში, რომ გიორგის ასეთ რამებზე ელაპარაკოს.
- ბიჭმა საბოლოოდ დაკარგა წონასწორობა.
- როგორ ფიქრობთ, მე ვარ იმ მდგომარეობაში რომ გიორგის ავუხსნა, თუ საკუთარი ხელით როგორ დავმარხე სადღლაც ჩვენი მეგობრები. შემდეგ როგორ გადმოვასვენეთ, ვიღაცის მიერ ამოთხრილი და შეურაცყოფილი ნიკა და ლაშას გვამები. ავუხსნა, თუ როგორ აღმოჩნდა ჩემს ხერხემალთან ტყვია, რომელიც ჩვენი მხრიდან ზურგში მესროლეს. როგორ ფიქრობთ?
- საუბარში დედა ჩაერია და დათოს დაწყნარება სცადა:
- დაწყნარდი შვილო, ხომ შემპირდი არა?
- დათო, გთხოვთ როგორც ექიმს დამიჯეროთ, ამისგან თქვენც უნდა გათავისუფლდეთ და მენდეთ, ამისთვის საუკეთესო საშუალება გეძლევათ. თქვენ ერთმანეთის დახმარება გჭირდებათ, და თუ ეს ვინმემ უნდა გააკეთოს, პირველ რიგში ალბათ თქვენ. მისთვის გაურკვევლობა დამღუპველია.
- უსაშველოდ განელილი პაუზა დედამ დაარღვია:
- უნდა წახვიდე შვილო, აუცილებლად უნდა წახვიდე.
- დათომ დედას გახედა. ამ გამოხედვაში, წაიკითხავდით საშინაურო დალლილი ადამიანის უსუსურებას, რომელსაც არაბუნებრივად ეთავსებოდა სიცოცხლის სურვილი და იმედის ნაპერნკალი, რომელსაც თავის მხრივ, ამ სურვილებისათვის ფრთხი უნდა შეესხა. დედამ შვილს გაუღიმა და დამარცვლით ისევ გაუმეორა:
- უნ და წა ხვი დე.
- დათო გამოერკვა და ექიმს მიუბრუნდა:
- როდის უნდა შევხვდე?
- მე ქალბატონ მზიას დავურეკავ და ხვალ შუადლისთვის შევუთანხმები, რას იტყვით?

- თანახმა ვარ, მაგრამ მე არც კი ვიცი სად მოვიდე.
  - ნუ იდარდებთ, თავად გამოგივლით.
  - კარგით ბატონო.
- ექიმმა წასვლა დააპირა და წამოდგა.
- თავს ნუ დაიტანჯავთ დათო, გიორგის ეცოდინება თქვენი მდგო-  
მარეობის შესახებ.
  - რას ეტყვით, რა სჭირსო?
  - თითქოს უბედური შემთხვევის შედეგად დაინვალიდდით.
  - ექიმო, მზია დეიდას გადაეცით რომ არ ინერვიულოს. ხვალისთვის,  
ვეცდები თავი ხელში ავიყვანო. ყველაფერი კარგად იქნება.  
დათომ დღეს პირველად გაიღიმა.
  - რა თქმა უნდა. მე და ქალბატონ მზიას თქვენი იმედი გვქონდა.  
ახლა კი უნდა წავიდე. დროებით დათო, ბედნიერი ვარ რომ გაგი-  
ცანით.
  - გმადლობთ ექიმო. კიდევ ერთხელ გაიღიმა დათომ და ექიმს მა-  
გრად ჩამოართვა ხელი.

## 9.

თბილისის ერთ – ერთ ულამაზეს ძველ უბანში, არის პატარა მოკრძალებული კაფე, რომელსაც გადმოცემით, კარგად იცნობდა ანტუანი. მართალია თვითონ თბილისში პირველად იყო, მაგრამ ამ კაფეს შესახებ ბევრს უყვებოდა, მისი ნაცნობი და ახლო მეგობარი, ერთი ფრანგი მწერალი. მან საქართველოში გამომგზავრებამდე, ანტუანს ტელეფონით დაახლოებით ასეთი რამ უთხრა: „თუ თბილისში მოხვდებით და არ შეივლით შავთელის ქუჩაზე მდებარე, მარიონეტების თეატრის კუთხეში განთავსებულ პატარა კაფეში, რომლისთვისაც მის მეპატრონეს თბილი და კაცთმოყვარე სახელი „არ იდარდო“ დაურქმევია, ჩათვალეთ რომ რაღაც ისეთი გამოგრჩათ, რაც ამ ქვეყანას უფრო შეგაყვარებდათო“.

საღამო ხანს, სწორედ ამ კაფის ერთ – ერთ მაგიდასთან, რომლის ვიტრინებიდანაც სულ რამოდენიმე მეტრში, ასევე თბილი და კაცთმოყვარე ანჩისხატის ტაძარი მოჩანდა, მარი და ანტუანი ისხდნენ. არც თუ საზეიმო აურა იდგა. გიორგის ძებნაში მარის, დილიდან მთელი ქალაქი მოეარა და მისი კვალისთვისაც კი ვერსად მიეგნო. დაღლილი და განამებული, მენიუს ათვალიერებდა და თან, ცდილობდა ნალველი არ შეემჩნია. ანტუანი კი პირიქით, შესანიშნავ ხასიათზე იყო და მოზღვავებული ყურადღებით, ტაძარს შესცეკრდა. მარიმ მენიუ თითებმუა მოიქცია, წელში გასწორდა, რამოდენიმე წამით თვალები დახუჭა და ლრმად ამოისუნთქა. (როცა ცუდი აზრები მოეძალებოდნენ, როგორც წესი, თავს ასე იმშვიდებდა ხოლმე) შემდეგ მენიუ მაგიდის კუთხეში მიაცურა და მაგიდაზევე, უზადო გემოვნებით შესრულებულ ჩანახატსა და წარნერას დააცქერდა. როცა ნაწერი ამოიკითხა, ლალი იმერული იუმორით გამხიარულებულმა, უხასიათობის მიუხედავად გულიანად გაიცინა და მისი საქციილით გაკვირვებულ ანტუანს, ასევე მხიარულად მიმართა:

– რას იტყვით, როგორ მოგწონთ თბილისი?

სტუმარმა, ტაძრით ალტაცების ნიშნად თავით უცნაური მოძრაობა გააკეთა და შთაგონებული სახით წამოიძახა.

– შესანიშნავი! ულამაზესი ქალაქი, შესანიშნავი კაფე, ლვთაებრივი ტაძარი და საერთოდ, საოცარი ქვეყანა... მე ბედნიერი ვარ, რომ აქ ჩამოვედი. ჩემს ბედნიერებას აათმიგებს ისიც, რომ სწორედ ამ დღეებში მერგო პატივით თქვენ გამეცანით. არ დაგიმალავთ და ეს ჩემი დიდი ხნის აუხდენელი სურვილი იყო. სამწუხაროა, რომ აქ დიდ ხანს ვერ დავრჩები, ძალიან სამწუხაროა. – ანტუანი ოდნავ დაცხრა და თვალი მარისკენ გამოაპარა, რათა მის ემოციურ აღსარებაზე, ქალის რეაქცია დაეჭირა. ხოლო მარის ამ თემაზე საუბარი არ სურდა, ამიტომაც თემა სასწრაფოდ შეცვალა

და საუბარი დაამშვიდა:

- სადმე იყავით, რამე ნახეთ?
- არა, ამის დრო რომ არ მოგატყუოთ, არ მქონია. თუმცა, რაც ვნახე იმით სრულიად აღფრთოვანებული ვარ. დასანანია რომ ამჯერად, მეტის ნახვას ვერ მოვახერხებ.
- მაგიდას ოფიციანტი მიუახლოვდა. სათითაოდ მაგიდაზე ორი ყავა ჩამოდგა და საფერფლე გამოცვალა.
- დიდი მადლობა. გაუღიმა მარიმ გოგონას. მიმტანს ანტუანმაც გაულიმა და როცა გოგონა წავიდა, ისევ მარის მოუბრუნდა:
- როგორ თქვით?
- მად ლო ბა. – დაუმარცვლა მარიმ.
- მადლობა. მად ლო ბა. – რამოდენიმეჯერ გაიმეორა ფრანგმაც და დაამატა: – ლამაზი ენაა. ისეთივე ლამაზი, როგორც ამ ქვეყნის ქალები.
- მიუხედავად იმისა, რომ ფრანგმა კიდევ ერთხელ სცადა საუბრის შემობრუნება, ქალმა კომპლიმენტი ისევ უყურადღებოდ დატოვა. მის სახეს ისევ ნაღველი გადაეფარა და ფიქრში წასულს, თვალი მასაც ანჩისხატზე გაუშტერდა. ამავე მდგომარეობიდან მოსაუბრეს ისე მიმართა, თითქოს სიტყვები თავისით მოსწყდნენ ბაგეებსო.
- მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით ანტუან? რამე საინტერესო ხომ არ გადაგილიათ?
- დიახ, და მერე როგორი საინტერესო; შესანიშნავი კადრები გამოდის. ეს რაც ეხება კადრებს. ხოლო თავად პროცესები... როგორ გითხრათ? პოსტ საბჭოთა კავშირის სივრცეში თუ ასეთი რამე შესაძლებელი იყო, პირადად მე ვერ ნარმომედგინა. რა თქმა უნდა ბალტიის ქვეყნებიც ძველი საბჭოთა სივრცეა, მაგრამ ჩვენ მათთან ურთიერთობა გვქონდა, ჩვენ ვიცნობდით მათ. თქვენ კი განსაკუთრებული ფენომენი ხართ. თქვენ ჩემი აზრით, მსოფლიომ თავიდან უნდა აღმოგაჩინოთ.
- გმადლობთ. მიხარია რომ ასე ფიქრობთ. იცით? არ დაგიმალავთ და, მას შემდეგ რაც თვითმფრინავში საშინლად მომაბეზრეთ თავი, თქვენზე არც თუ სახარბიელო შთაბეჭდილება დამრჩა.
- არა უშავს. – გაეცინა ანტუანს. – შეიძლება ზოგჯერ მართლაც ვიყო მომაბეზრებული. ახლა რას ფიქრობთ ყბედ უურნალისტზე?  
– კაცმა პირზე ხელები აიფარა და კბილებშუა გამოსცრა: – მე შემიძლია გავჩუმდე.
- არა, რას ამბობთ. – გაელიმა მარისაც. – შეგიძლიათ, რამდენიც გნებავთ იმდენი ისაუბროთ.
- გმადლობთ. – მადლიერების ნიშნად, არტისტულად დახარა თავი სტუმარმა და ენერგიულად თემას დაუბრუნდა: – მოკლედ, იმას

ვამბობდი რომ, როცა აქეთ მომავლინეს, დეტალურად გავეცანი თქვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიას. ხოლო როცა პირადად ჩამოვდი და მიმდინარე მოვლენებზე აქტიურად დაკვირვების საშუალება მომეცა, სახტად დავრჩი. თქვენი ხალხი გაცილებით მეტს იმსახურებს, ის გაცილებით უკეთესი მომავლის ღირსია.

- ასე ფიქრობთ?

- დიახ, სრულიად გულწრფელად. იმ ენერგიას და იმ შინაგან კულტურას, რომელიც მე ამ ქვეყანაში დავინახე, ბევრი რამ შეუძლია.
- ანტუან, რომ იცოდეთ რამდენი ადამიანია ამ ქვეყანაში, რომელსაც ყოველდღიურად სჭირდება ამის გამეორება, რასაც ეხლა თქვენ ამბობთ. საჭიროა მათ დაიჯერონ, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელია. ხალხს თითქოს სჯერა, მაგრამ ქვეყანა უსაშველოდ დაიღალა. ის იმედის გაცრუებას, ალბათ უკვე ვეღარ გადაიტანს.
- არა მარი, არა! – მოულოდნელად აღშფოთდა სტუმარი. – მე მაკვირვებს თქვენი სევდა. იმით რაც მოხდა ხალხი აღფრთოვანებულია, მაგრამ ეს რაღაც ფარული სევდა ყველგან იგრძნობა. – კაცი ემიციებს აჟყვა და ისე ფართოდ გაშალა ხელები, ლამის ფანჯარა გატეხა. – გაქვთ შესანიშნავი, ულამაზესი ქვეყანა. ხართ ენერგიული, შინაგანად მონესრიგებული, ლამაზი ხალხი. რატომაც არა ამისენით, რატომაც არა?

მარის ისევ ისეთი გრძნობა გაუჩნდა, როგორიც ორი დღის წინ თვითმფრინავში. თითქოს ანტუანი კვლავ განაგრძობდა მის სულში ხელების ფათურს.

- ანტუან, თქვენ მე ვერ გამიგეთ; მეც იგივეს ვამბობ რასაც თქვენ. იმედი არ უნდა გაუცრუვდეთ თქო, ეს მქონდა მხედველობაში. მე თქვენ აბსოლუტურად გეთანხმებით.

ანტუანმა სიგარეტს მოუკიდა, ეკლესიასთან მოფუსფუსე ხალხს გახედა და ისევ მარის მოუბრუნდა:

- ქვეყნის შენება პროცესია მარი, საინტერესო და მტკიცნეული პროცესი. ამაში ყველას მონაწილეობაა საჭირო. თუმცა ალბათ თავი მოგაბეზრეთ ჩემი ნოტაციებით, თქვენზე ვისაუბროთ. – მან პაუზა დაიჭირა; ეტყობოდა, რომ დღეს უკვე მერამდენედ, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცის სათქმელად ემზადებოდა.
- მარი, მე პირდაპირი და გულლია ადამიანი ვარ. მე მინდა გამოვხატო ჩემი უდიდესი სიმპატია თქვენს მიმართ. მე თქვენ მომწონებართ. სანამ პირადად გაგიცნობდით, ჯერ კიდევ იქ, პარიზში მომსიბლა ახალგაზრდა ემიგრანტმა გოგონამ, რომლის ნახატებშიც იგრძნობა საოცრად მართალი, უბრალო და ამავედროს საოცრად თავდაჯერებული ადამიანის ზღვარდაუდები ტკივილი.

თავს რომ გამოსტყოდოდა, მარისაც მოსწონდა ფრანგი სტუ-  
მარი. მაგრამ ასევე ზუსტად იცოდა ის, რომ მაზე მეტს რაც ეხლა იყო,  
ანტუანს ვერაფერს მისცემდა. ის, რომ ამ მცირე კეთილგანწყობას  
ახალგაზრდა კაცის მიმართ, მხოლოდ მეგობრობის პერსპექტივა  
ჰქონდა, ამაში დარწმუნებული იყო.

- ანტუან მე ვწუხვარ, მაგრამ... არის ერთი ადამიანი, რომლის ნახ-  
ვაც, ჩემი ჩამოსვლის ერთ – ერთი მთავარი მიზეზი იყო.
- ეს ადამიანი თქვენთვის ძვირფასია?
- ძალიან. უნდა მაპატიოთ ანტუან. სამწუხაროდ, თქვენთან დიდ  
ხანს ვერ დავრჩები, მეჩქარება. თუ გამაცილებთ, შეგვიძლია გზად  
ცოტა გავისეირნოთ კიდეც. ხვალ დილით პარიზში რომ ვპრუნ-  
დები გითხარით? რომ იცოდეთ, ამ ორ დღეში როგორ დავიღალე  
და თან ოჯახის წევრებიც, არცერთი ნორმალურად არ მინახავს.

მარი წამოდგა და იქვე მდგომ მიმტან გოგონას, ანგარიში სთხო-  
ვა. წამოდგა ანტუანიც.

კაფედან გამოსულებმა რამოდენიმე ნაბიჯით მარცხნივ გაიარეს,  
შემდეგ ისევ მარცხნივ ჩაუხვიეს და ანჩისხატის გვერდის ავლით,  
სანაპიროზე გავიდნენ.

ხანგძლივი სიჩუმე ანტუანმა დაარღვია:

- რა გაეწყობა. თუმცა გთხოვთ, პარიზში კიდევ მომცეთ თქვენი<sup>1</sup>  
ნახვის წება.
- რამოდენიმე დღეში გამოფენა მაქვს. კარგი იქნება თუ მოხვალთ.  
მარიმ ჩანთიდან სავიზიტო ბარათი ამოილო, ანტუანს გაუწოდა  
და კიდევ ერთხელ მოუბოდიშა.
- რას ამბობთ, ყველაფერი რიგზეა. – საუბარს წერტილი დაუსვა ან-  
ტუანმა და აზრის გასაფანტად ნარიყალას ციხით დაინტერესდა,  
რომელიც მათ პირდაპირ, მთაზე მედიდურად გადაწოლილიყო და  
დამსახურებული სიამაყით გადმოჰყურებდა ქალაქს.

## 10.

ალბათ მსოფლიოს ყველა ქალაქის ქუჩებში შეხვდებით, რამოდენიმე უსაქმური ადამიანის თავყრილობას და ამ მხრივ გამონაკლისი, არც ჩვენი დედაქალაქი გახლავთ. ისევე როგორც სხვაგან, ქუჩის ბირჟები არის ჩვენთანაც და ისინი, მკვეთრად განსხვავდებიან ამავე პროფილის, სხვა ქვეყნის ანალოგისაგან. რა შედარებაა? ან ვის შეიძლება შევედაროთ, ჩვენ ხომ ქართველები ვართ! არის ჩვენს ქუჩის ბირჟებზე რაღაც კოლორიტული, რაღაც ამოუცნობი და მისტიური. პირველი რაც თვალში მოგხვდებათ, ეს არის განუმეორებლად კოლორიტული პლასტიკითა და „გრიმასით“, აյა იქ ჩაცუცქული ბიჭები (თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თურმე არის ისეთი ავტორიტეტული ხალხი, რომელთაც საათობით შეუძლიათ ამ მდგომარეობაში ჩაცუცქულნი იჯდნენ და თურმე ნუ იტყვით, ფეხები არც კი უბუუდებათ. მთელი მათი ავტორტეტის საიდუმბლო კი იმაში მდგომარეობს, რომ ცხოვრების საუკეთესო წლები ჩაცუცქულებს, კრიმინალური საქმეების გარჩევებში გაუტარებიათ და თავიანთ მძიმე ხვედრს შეჩვეული ფეხები, მსგავს ძალადობაზე უკვე აღარც კი რეაგირებენ). კოლორიტულია, მათი პურჭყის გამოყოფის მანერაც. არა მგონია საღმე იმდენჯერ და იმ რაოდენობით გამოყოფდნენ პურჭყს პირის ღრუდან, რამდენსაც აქ, ჩვენთან. ამოუცნობი და მისტიურია, ჩაცუცქული ავტორიტეტების ლექსიკაც. ძნელად თუ იპოვით სამყაროში ადგილს, სადაც ამ რაოდენობით, ამდენ ბრუნვაში და საერთოდ ამდენს იგინებოდნენ ხან სხვისი, ხან ამისი და ხანაც უკულმა, საკუთარი ძალიან ახლო ნათესავების მიმართულებით. ჩვენში ზემოთ ხსნებულ პათოლოგიას, ხმირად „ქუჩის აკადემიად“ მოიხსენიებენ და თავად განსაჯეთ: ამ აკადემიის ზოგიერთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, ტელევიზიონითაც კი გვიხსნან ხოლმე განსხვავებას, შეგინებასა და დაგინებას შორის. რა თქმა უნდა შეიძლება, რომ მავანმა სათანადოდ დააფასოს საკუთარი თავი და ამ ადამიანებს უბრალოდ ყურადღება არ მიაქციოს, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ეს ხალხი, საზოგადოების გარკვეული ნაწილის ჩრეულად წარმოგვიდგება.

რაღა დაგვრჩენია? – „ვაი ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო“ – გავიმეოროთ ჩვენც, ერთი კარგი ქართველი პოეტის მიერ, ზღვარდაუდები სევდით ნათქვამი ფრაზა, ეს ყველაფერი ღრმა პათოლოგიების შემსწავლელ ფსიქოლოგებს მივანდოთ და თავად ძვირფასო მკითხველო, აჯობებს ისევ თხრობას დავუბრუნდეთ.

იმავე საღამოს, როცა სანაპიროზე, მარის და ანტუანს დავშორდით, ერთ – ერთ ასეთ ქუჩის თავყრილობას, სადაც დათოს უმცროსი ძმა, პაატა იდგა რამოდენიმე ბიჭთან ერთად, შუშებჩაბურული მანქანა მიუახლოვდა, მოშორებით გაჩერდა და იქიდან საქმაოდ კრიმი-

- ნალური გარეგნობის ადამიანმა გადმოჰყო თავი. მის დანახვაზე პაატა საჩქაროდ ბიჭებს გამოეყო და მანქანისაკენ გასწია. მიუახლოვდა თუ არა, ფრთხილად აქეთ – იქით მიმოიხედა და მანქანაში ჩაჯდა.
- გამარჯობათ. – მიესალმა პაატა მანქანაში მსხდომთ.
  - გაუმარჯოს. – ენერგიულად უპასუხა და მისკენ მოტრიალდა საჭესთან მჯდომი.
  - გაუმარჯოს. – უკანმოუხედავად მიესალმა პაატას მეორე, მისთვის უცნობი ადამიანი, რომლის კრიმინალური იერიც, არაფრით ჩამოუვარდებოდა პირველისას.
  - პა, როგორ არის საქმეები? – მძღოლი ისეთი ენერგიით და ისე უცნაურად ირჯებოდა, ნათელი იყო, რაღაც საეჭვო ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ უნდა ყოფილიყო.
  - არის რა, არა უშავს. – უპასუხა პაატამ ისე, რომ ეტყობოდა, ამათი ეშინოდა კიდეც.
  - რა იყო, მოხდა რამე? რაღაც ხასიათზე ვერა ხარ. – აქტიურობდა მძღოლი და თან, საშინელ დღეში აგდებდა საკუთარ ცხვირს, რომელსაც ყოველი მიმართულებით გამეტებით იფხანდა.
  - არაფერი, ისე. – თავისთვის ჩაიდუღდლუნა პაატამ.
  - ხო, ეხლა რა ხდება? – საქმეზე გადავიდა მძღოლი. – რაც წალებული გქონდა, იმის ფულს ახლა მე დამიტოვებ. შემდეგში კი საქმე ამ კაცთან გექნება, ერთად იმუშავებთ. გაიცანი.
  - პაატამ და უცნობმა, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.
  - რამაზი. – გაეცნო პაატას, მზღოლის პროტეზე.
  - ბათუ, მე ის ფული ეხლა თან არა მაქვს. რამიდენიმე დღე უნდა მაცალო. – გაბედა ბოლოს და ბოლოს პაატამ და შიშით ტუჩები მოიკვნიტა.
  - ოოო, ეგ რა მითხარი ბიჭო. – ირონიული სახით ალშფოთდა სუბიექტი, რომელსაც თურმე ბათუ ერქვა. – პირველივე ჯერზე ხაია ტო? არა ძმაო შენ ასე რამაზისთან მუშაობა გაგიჭირდება. თუმცა როგორც ვატყობ, ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. – ბათუმ თვალი მიმავალ პოლიციის მანქენას გააყოლა, სიგარეტს მოუკიდა და ისევ განაგრძო: – ეხლა მომისმინე. ხომ იცი, შენთვის არავის არაფერი დაუძალებია. თვითონ მოხვედი ვკვდებიო, მიმველე ვიბრიდებიო, ფული არა მაქვს და იქნებ გამსაღებლად ამიყვანოო, მე ჩემს ავიღებ და შენ შენი დაგრჩებაო. ასე არ იყო?
  - კი ბათუ, ასე იყო.
  - ჰოდა თუ ასე იყო, ზეგ ამავე დროს ამავე ადგილზე მოვალ და ფულს დამახვედრებ. ოღონდ სიურპრიზების გარეშე, კარგი?
  - პაატა ხმას ვერ იღებდა და ერთი სული ჰქონდა მანქანიდან გადასულიყო. შიშით, გული ერეოდა კიდეც.

- გაპარვა – გამოპარვის გარეშე. ახლა კი აბა შენ იცი, არ გვანერვიულო.
- მძღოლმა გასაგებად ანიშნა პაატას საუბარი მორჩაო და ისიც ელდანერავივით გადმოხტა მანქანიდან.
- ეს არის კარგი ბიჭიაო? – იკადრა და ხმა ამოილო რამაზიმ, როცა პაატა მანქანიდან გადავიდა.
- კარგი ბიჭია, რას ერჩი? გამოუცდელია და ეგ არის რა. ორი დღე ვაცალოთ. მოიტანს სად წავა. – კეისრის თავდაჯერებით წარმოსთქვა ბათუმ და მანქანა დაქოქა.

## 11.

სახლში დაბრუნებულ მარის, დალლილობისაგან უკვე არაფრის თავი აღარ ჰქონდა. მისალებ ოთახში ჩუმად შემოსულმა, ჩანთა იქვე, სკამზე გადაკიდა და ულონოდ ჩაეშვა სავარძელში. ნინოს მისი შემოსვლა არც გაუგია, ოთახის კუთხეში კომპიუტერთან იჯდა და ქსელში გაფაციცებით რაღაცას ეძებდა. თავად მარი კი, საშინალ დათრგუნული იმით, რომ გიორგის ვერსად მიაგნო, ყველაფერში მხოლოდ საკუთარ თავს ადანაშაულებდა და დანაშაულის ეს ტკირთი, რომელსაც პარიზში გამუდმებით თან ატარებდა, უფრო დაუმძიმდა თბილისში ჩამოსულს და იმ ქუჩებით მოსიარულეს, სადაც გიორგის-თან ერთად სეირნობისას, არაერთი ლამე გაუთენებია.

მთელი დღე უშედეგოდ იარა. ნაცნობთაგან ვერავინ ეუბნებოდა, თუ სად შეიძლებოდა ექებნა ის, ვინც ესოდენ ძვირფასი იყო მის-თვის. გიორგის სიკვდილზე არც კი ფიქრობდა. მთელი ემიგრანტული ცხოვრების მანძილზე, ერთხელაც კი არ დაუშვია გონებაში, ამის იოტისოდენ შესაძლებლობაც კი; რადგან მთელი ეს წლები, ყოველთვის გრძნობდა მის უხილავ თანადგომას. ხოლო ახლა, როგორც არა-სდროს სჯეროდა ამისი.

საფრანგეთში წასვლიდან პირველ წლებში, წერილებსაც სწერდა კომაში მყოფს, საკუთარ სიხარულსა და გასაჭირს უზიარებდა. შემდეგ კი, როცა ახალმა, გამოწვევებით სავსე, დაძაბულმა ცხოვრებამ ახალი და მკაცრი რეალობები შესთავაზა, თითქოს ბავშვობის გრძნობები ოდნავ გაუნელდა და საქმით დაიტვირთულს, პირველი სიყვარული, თითქოს გაუცვდა კიდეც. თბილისში დაბრუნებული, წყვილიდა საკუთარ ეგოიზმისა და ყველა მიღწეულ წარმატებას; ყველაფერს დათმობდა, ოღონდ ერთხელ კიდევ ენახა გიო, ერთხელ კიდევ ეთქვა, თუ როგორ უყვარდა მთელი ეს წლები; რომ ყველაფერი უაზრობა იყო. ყველაფერს, რასაც ამ წლების მანძილზე მიაღწია, მასთან გატარებული ერთი წუთისთვის შეეღეოდა.

ამ დროს ოთახში შემოსულმა დედამ, როგორც კი აცრემლებული მარი დაინახა, შვილს გვერდზე მიუჯდა, უსიტყვოდ ხელები მხრებზე შემოჰვია და გულში ჩაიკრა.

- რაო მარი, იპოვე? – იკითხა დედამ ისე, რომ ეტყობოდა, მარისგან განსხვავებით თავად, გიორგის ცოცხლად გადარჩენის არანაირი იმედი აღარ ჰქონდა.

- არა დედა, მთელი დღეა ვეძებ და ვერსად ვერ ვპოულობ. რა ვქნა არ ვიცი... ვერც გიორგის და ვერც დათოს. – ჩაილულლულა საცოდავი და ცრემლნარევი ხმით მარიმ.

- შენმა კლასელებმაც არ იციან? – დედის ამ შეკითხვასაც აკლდა ოპტიმიზმი.

- არა. არავინ არ იცის.
- შენი კლასელები მეც რამდენჯერ ავაწრიალე. ადრე რომ მირე-  
კავდა, გიორგი და დათოს მისამართები იქნებ გამიგოო. არაფერი  
იცოდნენ. იქნებ არის ვინმე ისეთი, ვინც მე გამომრჩა?
- არავინ დედა, არავინ არაფერი არ იცის. ხომ არ შეიძლება ასე  
უკვალოდ დაიკარგონ, ვინმებ ხომ უნდა იცოდეს მისამართი არა?  
გიორგი ცოცხალია დედა, ვგრძნობ რომ ცოცხალია. დღეს დი-  
ლიდან სად არ ვიყავი, მაგრამ ვერ ვიპოვე.

დედა ხელზე ეფერებოდა და ცდილობდა როგორმე შვილი და-  
ემშვიდებონა. ამ ყველაფრის დანახაზე, კომპიუტერს შეეშვა და მათ-  
თან გადმოჯდა ნინოც.

- შენ რომ დამირეკე გახსოვს? – მშვიდი ხმით განაგრძო ქალბატონ-  
მა ქეთიმ: – მე რომ გითხარი, დათოს ოპერაციას უპირებენ და  
იქნებ რამე ეშველოს თქო? მაშინ ბინის გაყიდვას აპირებდნენ.  
მერე გაყიდეს კიდეც, მაგრამ სად გადავიდნენ არავინ არ იცოდა.  
ოდნავ მოგვიანებით გიორგის დედამ, მზიამაც გაყიდა ბინა. ეს  
პერიოდი მარიშენის ავადმყოფობას დაემთხვა და ყურადღება ვერ  
მივაქციე. ეს შარშანინი იყო. მერე არცერთი არ მინახავს.
- დედა, რამდენჯერ დაგირეკე! ალბათ ასჯერ. გთხოვდი იქნებ რამე  
გაიგო თქო. ეხლა სად ვექებო არ ვიცი. მაშინვე უნდა ჩამოვსუ-  
ლიყავი, ასე არ უნდა მიმეგდო?
- ნუ ნერვიულობ მარი, ვიპოვით. ნუ სტირი. რამეს მოვიფიქრებთ და  
აუცილებლად ვიპოვით. – ჩაერთო საუბარში ნინო.

მარიმ თავი ხელებში ჩარგო და იატაკს ჩააშტერდა. ასე იჯდა  
დაახლოებით ერთი წუთი. შემდეგ თავი ასწია, ცრემლები შეიმშრალა  
და იმ ადამიანის მსგავსად, რომელიც საკუთარ თავს კარგად იც-  
ნობს, სასწრაფოდ თავი ხელში აიყვანა.

- დედა, ნინო, მე ხვალ უკან, პარიზში უნდა წავიდე. როგორც კი  
საქებებს მოვაგვარებ, ისევ ჩამოვალ. იქნებ კიდევ სცადოთ მათზე  
რამის გაგება. მე აუცილებად უნდა წავიდე. თუ რამე გაიგეთ და-  
მირეკეთ ხო?

ეხლა კი, დედას გადმოსცვივდა ცრემლები.

- ცოტა ხანი დარჩენილიყავი, რა ხდება ასეთი, წესიერად ვერც კი  
შემოგხედეთ. როგორ იქცევი, მამაშენზე მაინც იფიქრე, გულით  
ავადმყოფია. გუშინაც მთელი ღამე არ ეძინა, თქვენზე დარდით.
- დე, მარტო ხომ არა ვარ არა? ხომ გითხარი, მალე ჩამოვალ თქო.  
– უკვე მარი შეუდგა დედის დამშვიდებას. – ხალხი მელოდება.  
გამოფენა ჩაივლის და ჩამოვალ. არ იხერვიულო, მალე დავბრუნ-  
დები.

მარი სავარძლიდან წამოდგა და ნინოც წამოაყენა.

- ეხლა კი წავიდეთ და მამა ვნახოთ. სად არის, საძინებელშია? – იკითხა მან და დალლილმა, იქვე გაიძრო ფეხსაცმელები. მას უკან მიჰყვნენ დედა და ნინოჟ.
- მეორე დილით, მარი საფრანგეთში დაბრუნდა.

## 12.

გიორგის სახეს არავითარი რეაქცია არ გამოუხატავს, როცა კარი გაიღო და ოთახში დათო შემოიყვანეს. ვერც დათოს შეატყობილოთ დიდ სიხარულს, ან პირიქით მწუხარებას. წელში მოხრილი, იდაყვებით ხეიბრის სავარძლის სახელურებს დაყრდნობოდა და არაფრისმთქმელი მზერით, გიორგის შესცქეროდა. რამოდენიმე წამით ჩამოვარდნილი სამარისებული სიჩუმე, რომელიც ირგვლივ მყოფთ საუკუნედ ეჩვენათ, დათოს დედის, ქალბატონი ნელის ქვითინმა დაარღვია. ის დათოს უკან იდგა და გაფითრებული უყურებდა გიორგის. შემდეგ ქვითინს უმატა, აჩქარებული წაბიჯით ავადმყოფთან მივიდა და შუბლზე აკოცა. მერე თითქოს რაღაცის თქმაც დააპირა, მაგრამ ამ დროს უკნიდან ექიმი მიუახლოვდა და ფრთხილად საწოლს მოაშორა.

- კარგი იქნება თუ ბიჭებს მარტო დავტოვებთ. – ჩასჩურჩულა ექიმმა, ის ქალბატონ მზიასთან მიაცილა და იგივე თხოვნა, გიორგის დედასაც გაუმეორა.
- ცოტა ხანი მარტო დავტოვოთ. არ ინერვიულოთ, მე აქვე, კარებთან ვიტრიალებ.

ოთახიდან ორი მეგობრის გარდა ყველა გავიდა და ბიჭები, პირისპირ მარტო დარჩნენ. მცირე ლოდინის შემდეგ, მათმა თვალებმა ერთმანეთი მოძებნეს და სულ რამოდენიმე წამით ერთმანეთს შეხვდნენ. სამარისებული, გაყინული პაუზის შემდეგ დათომ თვალები დახარა, ზანტად სავარძლელი დაძრა და გიორგის მიუახლოვდა.

- როგორა ხარ გიო?

პასუხმა დააგვიანა. დათომ კიდევ სცადა საუბრის გაგრძელება საკუთარ თავზე აეღო, მაგრამ უშედეგოდ; სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა. კარგა ხნის დაძაბული პაუზის შემდეგ, გიორგის მშვიდი, გაწონასწორებული ხმა გაისმა:

- დათო, რამდენი ხანი სჭირდება ადამიანს რომ ასე შეიცვალოს? დედაჩემიც დაბერებულა და ლანდად არის ქცეული.
- ამასობაში დათოს მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო. წერვებისა და მელანქოლიის დრო ალარ არის; რახან მოვედი, სჯობია ცოტა თავი დავიწყნარო და უფრო გაბედულად ვიმოქმედო.
- თხუთმეტი წელი გიო... თხუთმეტი წელი გავიდა.
- ღმერთო ჩემო. – ისეთი ხმით ჩაიჩურჩულა გიორგიმ, რომ დათოს თავდაჯერებულობა, უკვალოდ გაქრა. ირგვლივ კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში ისევ გიორგის სუსტი ხმა გაისმა:
- დათო დაიფიცე, ჩვენი ბავშვობა დაიფიცე. ვგრძნობ, რომ რაღაც საშინელებას მიმალავენ. მაგრამ შენ არ დამიმალავ ხომ დათო? ნუ გეშინია, მე არაფერი დამემართება.

- ვიცი გიო, ვიცი. შენ ჩვენში ყველაზე ძლიერი იყავი.
- მარი სად არის?
- საფრანგეთშია, პარიზში ცხოვრობს... ცნობილი მხატვარია. ორი წელია რაც კონტაქტი არა გვაქვს.
- რატომ?
- მე და შენ მისამართები გამოვიცვალეთ. მე ოპერაცია მჭირდებოდა და ჩვენი ბინა გავყიდეთ. დედაშენმაც გაყიდა ბინა. მე გაუთავებელი ნერვოზული შეტევები მქონდა, ძან ცუდად ვიყავი და არავისთვის მითქვამს ახალი მისამართი. ჩემებსაც ავუკრძალე. მართალი გითხრა არავის ნახვა არ მინდოდა. – დათომ მცირე პაუზა დაიჭირა და ამჯერად უფრო გაძედულად დაიწყო:
- გიო, ცხრა აპრილის შემდეგ, გარკვეული პერიოდი თითქოს ყველა-ფერი კარგად იყო: პრეზიდენტი ავირჩიეთ, დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ და მოგვიანებით გვაღიარეს კიდეც. საქმე იქა-მდე მივიდა, რომ მაშინდელ რუსეთს ბლოკადა გამოვუცხადეთ იმ მოტივით, რომ უჩივენოდ ვერ გაძლებდნენ და შიმშილით სული ამოხდებოდათ. მერე კი, ნელ – ნელა ყველაფერი აირია. იმ ქვეყ-ნიდან რომელიც შენ გახსოვს და როგორიც წარმოგედგინა, რომ უნდა ყოფილიყო, არაფერი ალარ დარჩა. სამ – ოთხ წელიწადში ოთხი ომი გადავიტანეთ და ოთხივე სამოქალაქო. ამათგან ორი, ოსეთსა და აფხაზეთში. რუსთაველის გამზირი თითქმის მთლია-ნად დაინგრა. როცა მდგომარეობა დაიძაბა, მარი მშობლებმა საფრანგეთში გაუშვეს. არ უნდოდა წასვლა, შენთან უნდოდა. მაგ-რამ მაინც გაუშვეს.

გიორგიმ დათოს წინადადების დამთავრება აცალა და შიშით, რომ ის საშინელი აზრი, რამაც ეხლა თავში გაუელვა, არ გამართლე-ბულიყო, ძლივს გასაგონად ჰყითხა მეგობარს:

- ნიკა და ლაშა?
  - ერთი კი წაიბორძიკა, მაგრამ დარწმუნებულმა იმაში, რომ სჯობ-და სიმართლე ეთქვა, დათომ შეძლებისდაგვარად მშვიდად მიუგო:
  - ნიკა და ლაშა ალარა გვყავს გიო... აფხაზეთში დაილუპნენ.
  - შენც ხომ მათთან ერთად იყავი?
  - ხო, ესეც მანდ დამემართა.
  - დათო, ყველაფერი უნდა მომიყვე. ძალიან გთხოვ.
  - ვეცდები გიო, მაგრამ ეცადე არ გამაწყვეტინო, კარგი? თუ რამის შეკითხვა მოგინდება, ბოლოს მკითხე.
  - გისმენ დათო.
- დათომ, შეუჩერებლად და დაწვრილებით მოუყვა ყველაფერი ისე, რომ ცდილობდა, მცირე დეტალიც კი არ გამორჩინდა.
- მის მიერ მოთხოვობილი ამბავი, ასე იწყებოდა:

- კარგი გიო. თუ დაწყებაა, დავიწყოთ იქიდან, რომ არ დარჩენილა ცოდვა, რომელიც ქართველებმა ამ ნლებში, ერთმანეთის წინააღმდეგ არ ჩავიდინეთ...
- და მთავრდებოდა იარაღის გამო მისთვის ზურგში ნასროლი ტყვით, მათი მეგობრების დაღუპვით, მათი გადმოსვენების ამბით და ბოლოს, რუსთაველის გამზირზე დაჩოქილი, ნამუსაყრილი ქართველებით.
- დათომ სავარძელი ფანჯარასთან მიაგორა და გაჩუმდა. თავად კი გაჩუმდა, მაგრამ ახლა გიორგი გააქტიურდა და საუბარმა მოკლე, კითხვა-პასუხის სახე მიიღო.
- ეხლა რა ხდება დათო?
- ეხლა?
- ხო, ეხლა.
- სამი დღის წინ, ქვეყანაში რევოლუცია მოხდა და პრეზიდენტი გადადგა. იმ დღეს შენ რომ გამოხვედი კომიდან.
- ვინ არიან?
- ვინ? ვისზე მეკითხები?
- ვინ აიძულა გადამდგარიყო?
- ვინ და ჩვენ გიო, ჩვენმა თაობამ. დაჩაგრული და მიზანმიმართულად გაწყვეტილი თაობის ნარჩენებმა. ვინც გადარჩა იმან.
- ისევ არეულობაა?
- გიო... - დათო საუბარმა დალალა, ნერვულმა სტრესმაც თავი აატკივა და თითებით საფეხქლების ზელვას მოჰყვა. - ადამიანთა ჯგუფმა, ვინც მე და შენ ცხრა აპრილი მოგვიწყო, ვინც ქვეყანა ნაწილებად დაჩეხა და მაინც უნამუსოდ აგრძელებდა ქვეყნის ჭამას, მორიგი არჩევნები წააგო. ამის მიუხედავად, თავი გამარჯვებულად გამოაცხად. შემდეგ კი მოხდა ის, რაც დიდი ხანია უნდა მომხდარიყო. 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს, ყველაფერი დამთავრდა. გიო მე მჯერა, რომ ჩვენ, მაინც მოვესწრებით ამ ქვეყნის სახელმწიფოდ გადაქცევას და მინდა შენც გჯეროდეს ამის. - დათომ მეგობრულად ხელი ხელზე დაადო და სავარძელი წასასვლელად მოამზადა.
- ახლა კი წავალ გიო, საფიქრალი ორივეს ბევრი გვაქვს. დღეს გვეყიფა ალბათ; არარი საჭირო ერთმანეთის წამება, კიდევ ბევრჯერ ვიღლაპარაკებთ. მეც ვერა ვარ რაღაც, დავიღალე. მათი საუბარი ამით დასრულდა და დათომ ოთახში დანარჩენებს უხმო.

### 13.

დათოს დღევანდელი ამბები, ამით არ დამთავრებულა. გიორგის-თან საუბრით გადაღლილსა და საშინელი თავის ტკივილით სახლში დაბრუნებულს, მისაღებ ოთახში პაატა დახვდა, რომელიც სავარძელში დამნაშავის გამომეტყველებით იჯდა და როგორც სჩანს მის მოსვლას ელოდა, რათა დალაპარაკებოდა. დათომ სავარძელი მაგი-დასთან მიაგორა, წყალი დაისხა, წამლები დალია და სიგარეტს მოუ-კიდა. უფროსი ძმა არ ჩქარობდა, პაატა კი ადგილზე წრიალებდა და რამოდენიმე მცდელობის მიუხედავად ვერაფრით ვერ ახერხებდა საუბრის დაწყებას. ამ დროს ოთახში დედაც შემოვიდა და როგორც კი პაატა დაინახა, მასთან მივიდა, ხელი ნიკაზზე ნაავლო და თავი მალლა აუნია, რათა მისთვის თვალებში ჩაეხედა.

- პაატა, ის რაც დათომ ნახა უჯრაში, საიდან მოხვდა იქ?

დათო დედასთან მივიდა, ძმაზე ხელი გააშვებინა და მშვიდად სთხოვა:

- დე, მე დაველაპარაკები. მარტო დაგვტოვე კარგი?

დედა უსიტყვილ დაემორჩილა და ეზოში გავიდა.

დათომ მას თვალი გააყოლა და როცა დედამ კარი მიიხურა, თვი-თონ პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

- ამდენი წამალი აქ საიდან მოხვდა პაატა? რას შვები, სულ გაგი-ჯდი? ეხლა ყველაზე ნაკლებად მინდა შენთან ჩხუბი, მაგრამ... პაატა, შენ გიო არ გახსოვს არა?

- რომელი გიო?

- გახსოვს, გეუბნებოდი კომაშია მეთქი? თხუთმეტი წლის შემდეგ კომიდან გამოვიდა. იცი რა ენერგიით გაიღვიძა? - დათო პაატას გამომეტყველებით მიხვდა, რომ ქარაგმებით ლაპარაკს პირდაპირი საუბრი სჯობდა და თემას დაუბრუნდა: - აუცილებლად უნდა მითხრა რა ხდება. ოღონდ ტყუილების გარეშე. ამდენი წამლის ფულს შენ კი არა, მთელი შენი საძმაკაცო ვერ იშოვიდით. მინდა მჯეროდეს, რომ ვინმეს შეუნახე, რაც მართალი გითხრა მეტვება. რას უპირებდი ამას?

დათომ სამალავიდან ნარკოტიკები ამოაძვრინა და მაგიდაზე დაყარა. პაატამ კი არ იცოდა რა ექნა, ან რა ეთქვა და შიდა ტკივი-ლებისაგან გატანჯული, თითების მტკრევით იყო დაკავებული.

- ცუდადა ვარ დათო, უნდა დამეხმარო.

- ვიცი რომ ცუდად ხარ, მაგრამ ტყუილებით უფრო გაიხლართები. შენი დახმარება მინდა ბიჭი. გუშინ მითხარი, ხომ იცი ამის გარეშე ვერ წავალო. ვისია?

- შენ არ იცნობ. კრიმინალური პოლიციიდან არიან. საშიში ხალხია.

- გასაყიდად გამოართვი?

პაატამ იმ ადამიანის მსგავსად რომელმაც იცის, რომ თუ ეხლა არ სთქვა ის, რისი თქმაც უნდა, ცოტა ხანში აუცილებლად თავის მოიკლავს, თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. შემდეგ თვალში ცრემლი გაუჩნდა და ხმაშიც ბზარი გაერია.

- პირველია დათო, დედას გეფიცები პირველია.
- ამდენი ტყუილის შემდეგ როგორ უნდა დაგიჯერო არ ვიცი. ხედავ სანამდე მიხვედი? – დათო წამით დაფიქრდა, რომ მდგომარეობა კარგად აეწონ – დაეწონა:
- ეს რომ დავბრუნოთ, გაჩერდებიან?
- მანდ ცოტა აკლია, ჩვენ გავიკეთეთ. მიხვდებან. შეიძლება არ დაიბრუნონ და ფული მოითხოვონ. – თითქოს ბოდავდა პაატა.
- დანარჩენის ფულს დავამატებთ და დაიბრუნებენ. მაგას მე მოვაგვარებ, ნუ გეშინია. თანაც ეგ არ არის ეხლა მთავარი, მაგათ გავაჩერებთ. შენ რას ფიქრობ? წამალს თუ არ შეეშვი არაფერი არ გამოვა. ერთ დროს მაინც მათ მიადგები.

პერიოდულად პაატა ისეთ მოძრაობებს აკეთებდა, იფიქრებდით სხეულში ელექტრო ძაბვა შეუერთეს და დროგამოშებით დენს ამატებენო. და რადგან ქვედა ყბაც უკანკალებდა, ბოლო წინადადებაც ძლივს გასაგები ბერებით გამოსცრა:

- როგორ დათო?... მითხარი როგორ. აი ეხლა ისე ვარ, რომ მგონია ძვლები დამეშლება.

დათომ სავარძელი, ძმასთან უფრო ახლოს მიაგორა.

- დაწყნარდი და ყველაფერს ეშველება, ნუ ნერვიულობ. ეხლა რაღაცას გეტყვი და კარგად მომისმინე. წინა დღეებში მამაოს ველაპარაკე, მამა ალექსანდრე ხომ გახსოვს? ჩემი მოძლვარი. მინდა მას შეგახვედრო პაატა. თუ ჩემი გჯერა, შენ ეხლა ერთადერთი გამოსავალი გაქვს. შენი თავი თუ ღმერთს არ მიანდე, არაფერი გამოვა. რამოდენიმე თვე მონასტერში რომ წასულიყავო, მდგომარეობიდან გამოხვიდოდი. მერე დაფიქრდები და ცხოვრებასაც ცოტა სხვანაირად შეხედავ. ამ წაბიჭვრების კი ერთი წამით არ შეგეშინდეს, გპირდები ამას მე მოვაგვარებ. ახლა კი მორჩი ტირილს, ბავშვი ხომ არა ხარ?

პაატა იმ საღამოს არსად წასულა. თუმც მთელი ღამე საშინლად იტანჯებოდა, წამალზე სიტყვაც არ დაუძრავს. მის მოვლაში, თეთრად გაათენეს ღამე დათომ და დედამაც.

ამ დღეს პაატამ, თავი ღმერთს მიანდო.

## 14.

პარიზში დაბრუნებულმა მარიმ სახლში შეირბინა თუ არა, ბარგი იქვე შესასვლელში დაყარა, საჩქაროდ თავი მოიწესრიგა და პირდაპირ საგამოფენო დარბაზს მიაშურა, სადაც მთელი ამ დღეების სამზადისმა მისი მეგობრების: მიშელისა და სოფის კისერზე გადაიარა. დარბაზში შესულს, ორგვლივ ყველაფერი მოწესრიგებული დახვდა; ყველა ნახატი თავთავიანთ ადგილზე ჩამოიკიდნათ და განათებაც იდეალურ მდგომარეობაში მოეყვანათ. ისინი იქვე, მოშორებით ფუსფუსებდნ და მარის დარბაზში მისვლა არც კი შეუმჩნევიათ. მიშელი მომსახურე პერსონალს ხელმძღვანელობდა, ხოლო სოფი, ორგანიზატორებთან ბოლო დეტალების დაზუსტებით იყო დაკავებული. შეუმჩნია თუ არა მარი, მიშელი საჩქაროდ მისკენ გამოემართა. უკან მოჰყვა სოფიც.

- მარი, როგორ გვანერვიულ! როგორა ხარ? – გადაეხვა მარის მასზე ბევრად უფროსი, სიმპატიური გარეგნობის მამაკაცი.
- კარგად ბატონო მიშელ, ყველაფერი რიგზეა. – გაულიმა მარიმ.  
რამოდენიმეჯერ ზურგზე მეგობრულად ხელი მოუთათუნა და მის ზურგს უკან სოფის თვალი ჩაუკრა.
- როგორა ხარ სოფი? – ახლა მას გადაეხვია მარი.
- კარგად მარი, როდის ჩამოხვედი?
- აი ეხლა. მხოლოდ ერთი წუთით სახლში შევირბინე და ბარგი დავყარე.

ამ დროს მიშელმა რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა ერთ – ერთი მომსახურე გოგონასკენ, რომელიც ნახატზე შუშას წმენდდა. მას საქმე მოუწონა და იქიდანვე ცერემონიულად გამოსძახა მარის:

- რაო, რა ხდება თქვენთან საქართველოში? ტელევიზია და გაზეთები მხოლოდ თქვენს ქვეყანაზე საუბრობენ. ამბობენ რომ ხელისუფლება გადადგა და ხალხი ზეიმობსო.
- დიახ, ყველაფერი ღვთის მადლით მშეგიდობიანად დასრულდა. – მისკენ გადაინაცვლა მარიმ და ნახატთა განლაგების დათვალიერებას შეუდგა.
- მიხარია, ძალიან კარგი. მაგრამ შენ ვერ გატყობ დიდ სიხარულს, მოხდა რამე? – ჰკითხა მამაკაცმა გულწრფელი მზრუნველობით. ეტყობოდა რომ ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთხოდა, რომელსაც ძნელად თუ გამოაპარებ რამეს. მითუმეტეს, თუ კარგად გიცნობს.
- არა, არაფერი. უბრალოდ ამ რამოდენიმე დღეში, უსაშველოდ და- ვიღალე.
- მართლაც დალლილი ჩანხარ. – ჩაერთო საუბარში სოფიც.
- მაგას არა უშაგს. აქ როგორ გვაქვს საქმეები სოფი? მაპატიეთ, ჩემი არ ყოფინით ალბათ ცოტა დაგაღალატეთ.
- არა, რას ამბობ. – გულწრფელად ეწყინა მეგობარ გოგონას. – აქ

- ყველაფერი რიგზეა, და სხვანაირად არც შეიძლება იყოს. შენ იცი ჩევნ როგორ გვიყვარხარ. ყველაფერი მოგვარდება.
- რა თქმა უნდა. – დაეთანხმა მამაკაცი შორიდან.
  - ის როგორ არის, ცოცხალია? – განმარტოებით ისარგებლა გოგონამ და საუბარი გიორგიზე ჩამოაგდო.
  - არ ვიცი სოფი, ორი წელია გიორგი ჩემებსაც არ უნახავთ. სახლი გაუყიდიათ და სხვაგან გადასულან. ვერსად ვერ ვიპოვე. სოფი, ვგრძნობ რომ ცოცხალია და ჩემი თანადგომა სჭირდება. მე კი ისე მივაგდე, როცა ყველაზე მეტად ვჭირდებოდი, სწორედ მაშინ მივატოვე.
  - თავს წუ დაიტანჯავ მარი. შენ ის გიყვარს და მისთვის არასოდეს გიყალატია, რადგან მთელი ეს წლები, მხოლოდ ის გიყვარდა. მე ეს ვიცი. შენი წარმატება მას გაუხარდებოდა. ამაზე იფიქრე.
  - სოფი, სამშობლოში დაბრუნება გადავწყვიტე.
- ამ დროს მიშელი ისევ დაუბრუნდათ. მარის ხელი ხელში მოჰკიდა, რათა წაეყვანა და რაღაც ენახებინა.
- ქალბატონებო რას გაჩერებულხართ? ჭორაობას მერეც მოასწრებთ. შენ დასვენება ხომ არ გინდა მარი? არა? მაშინ წამოდი, რაღაც უნდა გაჩვენო.
  - მიშელ, მარიმ გადაწყვიტა დაგვტოვოს. – სოფის სიტყვები, მიშელისთვის მეხის გავარდნას ჰყავდა.
  - რაო? – მამაკაცი ადგილზე მოტრიალდა და ელვისსისწრაფით აფორიაქდა.
  - რატომ უნდა დაგვტოვოს?
  - სამშობლოში უნდა დავბრუნდე ბატონო მიშელ. – თავის მხრივ, არ დაინდო მეგობარი მარიმაც.
  - შენ გაგიყდი მარი. მას შემდეგ რაც შენ გადაიტანე, როცა საკუთარი შრომით, არსაიდან ამდენს მიაღწიე.
- მიშელი გაჩუმდა, შემდეგ მოუსვენრად ადგილზე რამოდენიმე წრიული ნაბიჯი გააკეთა და მცირე, მოუსვენარი პაუზის შემდეგ ისევ განაგრძო:
- არა, შენ მართლა გაგიჯდი. რა მოხდა ასეთი თქვენთან?
- მარი მივიდა და აღელვებულ მეგობარს გადაეხვია.
- ბატონი მიშელ, ვიცი რომ თუ ეხლა არა, როგორც კი დაწყნა- რდებით აუცილებლად გამიგებთ. მე იქ უნდა ვიყო.
- მიშელმა ხელები ულონოდ გაშალა და ბავშვური გულუბრყვილობით წამოიყვირა:
- მოიცა, ეხლა მიდიხარ?
  - არა, ეხლა არა. — სიცილი ვერ შეიკავა მარიმ. – წამოდით, მანახეთ რა უნდა გენახებინათ.

## 15.

რამოდენიმე დღეში, მარიამ გავაშელის პერსონალური გამოფენის წარმატებული და პომპეზური გახსნის შემდეგ, თავად ავტორი დარბაზში დიდხანს არ გაჩერებულა. მეგობრებს დროებით დაემშვიდობა, უთხრა ცოტას გავისეირნებო და ქუჩაში გამოვიდა. პირველი მიზეზი იყო ის, რომ არ უყვარდა პომპეზური ღონისძიებები, მეორე მიზეზი კი, საქართველოში გამომგზავრებამდე, პარიზის ქუჩებში სეირნობის სურვილი იყო. უნდოდა დამშვიდობებოდა ქალაქს, რომელშიც მისი ცხოვრების გადამწყვეტი წლები გაეტარებინა და რომელიც, მისთვის შმობლიური ქალაქი გამხდარიყო. (არათუ დიდი ხნით, არამედ პარიზში ერთი დღით ჩასულ ადამიანსაც ხომ იგივე გრძნობა ეუფლება, როგორიც წლობით პარიზში მცხოვრებს. თითქოს ეს მარადიული ქალაქი, ყველასთვის ისევე ახლობელია, როგორც ძირძველი პარიზელისთვის).

ქუჩაში გამოსულმა, მხოლოდ რამოდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოასწრო, როცა ვიღაცის ომახიანმა ხმამ ადგილზე გააჩერა. მარიმ მიიხედა და მოშორებით, ჩვენთვის კარგად ხაცხობი ანტუან პირესი დაინახა, რომელიც მისკენ ჩვეული, მოუსვენარი ლიმილით მოიჩქარიდა.

- მაპატიეთ მარი, არ მიყვარს პომპეზური ღონისძიებები და შიგნით არ შემოვსულვარ. ვიფიქრე მერე მივალ და მშვიდად დაგათვალიერებ თქმ. თქვენ კი აქ გელოდით. როგორ ხართ? – სხაპასეუპით მიაყარა ანტუანმა მარის.
- გამარჯობათ ანტუან – გულითადად მიესალმა მარი, როცა ფრანგი მიუხსლოვდა – მე არა მიშავს, თქვენ? არც მე მიყვარს პომპეზურობა, მაგრამ ცოტა ხნით მაინც რომ შემოსულიყავით, არ დააშავებდით.
- დამნაშავე ვარ! ვალიარებ პატიების იმედად მყოფი და სრულად ვემორჩილები თქვენს განაჩენს. – გაზვიადებული არტისტულობით ცალ ფეხზე ჩაიმუხლა პირესი და თავის დახრით, განწირული ადამიანი განასახიერა.
- თქვენ მოგესაჯათ, ჩემთან ერთად უახლოესი ერთი საათის განმავლობაში პარიზში გასეირნება. თუმცა, ვინაიდან არსებობს შემამსუბუქებელი გარემოება, სასეირნო ადგილს თქვენ ირჩევთ. – აჰყვა ანტუანს, კლოუნადაში მარი.
- შანს ელიზე! – წამოიყვირა და შეიძლება ითქვას, საერთოდ აიშვა ანტუანმა. წამის მეასედში წამოხტა და დაახლოებით არლეკინის გრიმასით, ტაქსის გაჩერებას შეუდგა.

სულ ცოტა ხანში ანტუანი და მარი ელისეს მინდვრებზე, ქვაფენილს მიუყვებოდნენ.

- რა გადაწყვიტეთ მარი, ბრუნდებით სამშობლოში? — ეხლა კი სრული სერიოზულობით წამოიწყო ფრანგმა.
- ხო, მივდივარ. — მცირე სინანულით, თუმცა სრული თავდაჯერებით უპასუხა მარიმ.
- ასე ყველაფერს ტოვებთ და მიდიხართ? — არ ჰგავდა საკუთარ თავს ანტუანი.
- თქვენ არ ამბობდით, ქვეყნის შენებაში ყველა უნდა მონაწილეობდეს?
- ხო მაგრამ, თქვენ აქედანაც შეგიძლიათ თქვენს ქვეყანას დაეხმაროთ. ამისათვის სულაც არ არის საჭირო ყველაფერი მიატოვოთ.
- ანტუან. — მშეგიდად გააწყვეტინა მარიმ. — თბილისში ცხოვრობს ადამიანი, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასია. გახსოვთ? მე ეს თბილისშიც გითხარით. მაშინ მას ორი დღე ვეძებდი, მაგრამ ვერ ვიპოვე. გუშინ კი თვითონ დამირეკა, წარმოგიდგენიათ?.. თხუთმეტი წლის შემდეგ. მას გიორგი ჰქვია და მე ის მიყვარს.
- გი ორ გი. — დამარცვლით გამეორა ანტუანმა. — თქვენს ქვეყანასაც ასე არ ჰქვია? GEORGIA.
- დიახ, ასეა. — მარის სახეზე ლიმილმა გადაურბინა, შემდეგ ცას ახედა და ღრმად ჩაისუნთქა პარიზის ჰაერი.
- თქვენ მე მაკვირვებთ ანტუან. — ხმამაღლა წამოსცდა ნააზრევი მარის.
- რატომ, ცოტას ვლაპარაკობ?
- არა. უბრალოდ იმდენად გესმით ჩემი, რომ ასე მგონია მთელი ცხოვრებაა გიცნობთ.
 

რამოდენიმე წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე, ისევ მარიმ დაარღვია:
- გიორგი თხუთმეტი წელი კომაში იყო. ის სწორედ რევოლუციის დღეს გამოვიდა კომიდან. ეს მხოლოდ დამთხვევა არ არის ანტუან.
- ისევ გაჩუმდნენ. ცოტა ხანში, უკვე ანტუანმა გაახმოვანა ნააზრევი:
- სასწაულები ხდება მარი. თბილისში ყოფნისას, ერთ ქართველ ურნალისტს, ვთხოვე ქაშვეთის ტაძარში წავეყყანე. თქვენს ნახატზე გამოსახული ეკლესიის სახელი, სწორად მახსოვეს?
- დიახ, ასე ჰქვია.
- მე უურნალისტი ვარ და მოგზაურობა ხშირად მიწევს, მაგრამ არ-სად ისე არ მიგვრძნია ღმერთთან სიახლოვე როგორც იქ, თქვენთან. მარი, რამდენად საწყენიც არ უნდა იყოს ეს ჩემთვის და რამდენიც არ უნდა ვისაუბროთ ამაზე, ერთი რამ ცხადზე ცხადია. უნდა წახვიდეთ, ერთი წამითაც არ უნდა დაფიქრდეთ.

ამასობაში მარიმ ტაქსი გააჩერა და ანტუანს მოუპრუნდა:

- ნახვამდის ანტუან.

მამაკაცმა ქალბატონს ტაქსის კარები გაუაღო და ჩასაჯდომად ხელი მიაშველა.

- სახლში ჩემს მიერ გამოგზავნილი ერთი ნივთი დაგხვდებათ. ეს ნივთი თქვენია და მე მას სიამოვნებით გიბრუნებთ.
- ჩემი ქაშვეთი! – ემოცია ვერ, და არ დამალა მარიმ.
- მარი... არის რაღაცები, რისგანაც შეიძლება დროებით განთავისუფლდე, მაგრამ რამდენადაც თქვენ გიცნობთ, ამ რაღაცას მეხსიერებიდან ვერასოდეს ამოიგლევთ. პირიქით, ამ ტკივილს იმდენად სათუთად უფრთხილდებით და ინახავთ სულის სიღრმეებში, რომ გვონიათ მისი დაკარგვით, საკუთარ თავსაც დაკარგვთ. ხატეთ მარი, ღვთის გულისათვის ბევრი ხატეთ. ხატეთ თქვენზე, თქვენსა და გიორგიზე, თქვენს ქვეყანაზე ხატეთ. იქნებ დაიცალოთ, იქნებ როგორმე ამოიგლივეთ სულიდან ეს სისაძაგლე, და შემდეგ ვინ იცის... როდესმე, შეიძლება ლამაზი პეიზაჟის დახატვის სურვილიც გაგიჩნდეთ. – ანტუანმა ბოლოს და ბოლოს ჰაერი ჩაისუნთქა და როცა ცოტა დაწყნარდა, მანქანასთან დაიხარა, მარის ხელს დასწვდა და ნაზად აკოცა.
- ნახვამდის ჩემო მეგობარო! ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენი და გიორგის მეგობრად მიგულებთ.
- გმადლობთ ანტუან, ყველაფრისთვის დიდი მადლობა. ნახვამდის...
- ცოტაც და მარი აუცილებლად ატირდებოდა. და ვინაიდან, ეს ახლა ყველაზე ნაკლებად უნდოდა, ანტუანის ხელებიდან საკუთარი ხელი ფრთხილად გამოაცურა და ტაქსის მძლოლს სთხოვა, მანქანა და დაეძრა.

## 16.

ექიმის კატეგორიული მითითების მიუხედავად, რომ პაციენტს მკურნალობის პროცესუალური განრიგი მკაცრად დაეცვა და ორგანიზმისთვის ძალა არ დაეტანებინა, გიორგის საკუთარი გეგმები ჰქონდა და ჯიუტად განაგრძობდა მედიცინის კანონზომიერებებისადმი არ მორჩილებას. სულ რამოდენიმე დღეში, ის უკვე საკუთარი ძალებით ახერხებდა საწოლზე წამოჯდომას და აქტუალურ ცდილობდა, ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე თვალყური ედევნებინა. რამოდენიმე დღეში დედამ გაძედა და ის წერილები მისცა წასაკითხად, რომლებსაც ავადმყოფობის წლებში სანამ ბინას გამოიცვლიდნენ, მარი უგზავნიდა საფრანგეთიდან. მისი ექიმი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რამდენად ძლიერი იყო ამ წერილში მოტანილი ყოველი სიტყვა, მის ყველა პრეპარატსა და თერაპიაზე ერთად აღებული. გიორგის თვალზე გადაიშალა ყოველი წვრილი და უმნიშვნელო დეტალი, მრავალი წლის მარის ფრანგული ყოფიდან. პირველი ტყივილები და პირველი წარმატებები. უამრავი სხვადასხვა დამოკიდებულებებისა და აზროვნების უცხო ადამიანი, უცხო გარემოში. პირველივე წერილებში, მარი წერდა მის უახლოეს ფრანგ მეგობრებზე: მიშელსა და სოფიზე, რომელთაც პარიზში ჩასვლისთანავე დაუმეგობრდა და მას შემდეგ წლების განმავლობაში, მათზე ძირიფასი იქ, არც არავინ ჰყოლია. რომ როცა გიორგი კომიდან გამოვიდოდა, მათ აუცილებლად გააცნობდა და დარწმუნებული იყო, რომ ისინი აუცილებლად დამეგობრდებოდნენ. ყოველ ახალ წერილში, ისევ თავიდა უტყდებოდა სიყვარულში, ისევ ისე როგორც პირველად, მერვე კლასში რომელილაც გაკვეთილზე. ახლაც კი უკირდა იმ გამბედაობის, რამაც იმ ასაკში გააბედინა და გიორგის, პირველი თავად გამოუტყდა სიყვარულში. იგონებდა პირველ კოცნას, მცხეთის ჯვართან დაკრეფილ მინდვრის ყვავილებს და მრავალ თეთრად გათენებულ ღამეს თბილისის ჭურებში. და ყოველი წერილის ბოლოს პატივებას ითხოვდა, მისი ასეთ მდგომარეობაში მიტოვების გამო და იმ იმედით სავსე, რომ გიორგი სულ მალე აზრზე მოვიდოდა, პირობას სდებდა რომ ამ დღის დადგომისთანავე, ის ყველაფერს მიატოვებდა და მაშინვე მასთან გამანდებოდა.

რამოდენიმე საგულდაგულოდ გადარჩეული წერილი, გიორგიმ მეორე დილითაც გადაიკითხა. უკვე მეხუთე დღეს ყავარჯენების დამარებით ფეხზე წამოდგა და ოთახში რამოდენიმე ნაბიჯი გააკეთა. ვინაიდან პროტესტის გამოთქმას არავითარი აზრი არ ჰქონდა და ეს დედამ კარგად იცოდა, სიტყვის უთქმელად გვერდით გაჰყვა შვილს. სამი-ოთხი ნაბიჯის შემდეგ, მაინც სცადა მისი შეჩერება:

- თავს ძალას ნუ დაატან შვილო, დღეისთვის გეყოფა. მოდი საწოლზე ჩამოჯექი, კარგი?

ეზოდან სკოლის ზარი გაისმა, ცხრა საათი სრულდებოდა.

გიორგიმ და დედამ ვერც კი შეამჩნიეს, ოთახში ფრთხილად შე-  
მოსული დათო, მამა ალექსანდრე და პაატა, რომ გიორგის ეძნებოდა და ამასო-  
ბაში დედასთან, მისი ჯანმრთელობის შესახებ გასაუბრებას მოას-  
წრებდნენ. თუმცა სულ სხვა სურათი დახვდათ; გიორგი პატარ-პატა-  
რა ნაბიჯებით, ფეხებს იატაკზე მიაცურებდა და დედას ამხნევებდა,  
ნუ გეშინია.

- გამარჯობათ ხალხო. – ჩუმად მიესალმა მათ მოძლვარი, რამოდე-  
ნიმე ნაბიჯი მათგენ გადადგა და მისი გამოჩენით გაოცებულ  
გიორგის გადაეხვია.
- მამაო. – გაუჭირდა აზრზე მოსვლა გიორგის. – მამა ალექსანდრე,  
ლემერთო ჩემო... დედა, მამა ალექსანდრე ხომ გაახსოვს? ჩვენი  
მოძლვარი. როგორ ხართ მამაო? აქ საიდან გაჩნდით? – გიორგი,  
დედისა და მოძლვრის დახმარებით საწოლზე ჩამოჯდა. გვერდით  
ჩამოუჯდა მამა ალექსანდრეც.
- არა მიშავს გიო, მე რა საკითხავი ვარ. შენ რას შვები? შენ როგორა  
ხარ?
- დედა, გახსოვს მამაო? – ვერ ისვენებდა გიორგი.
- მახსოვს შვილო, როგორ არ მახსოვს. – დედამ მოძლვარი მოიკითხა  
და ბიჭებთან გადაინაცვლა. დათო და პაატა კარებთან გაჩერებუ-  
ლიყვნენ და ისე შესცეკროდნენ გიორგისა და მამა ალექსანდრეს  
შეხვედრას.
- მობრძანდით ბიჭებო, რატომ დგახართ? – შესთავაზა ბიჭებს სკა-  
მები დედამ და ისევ გიორგისთან დაბრუნდა.
- შენ კი იქნებ ნამოწვე გიო, დაიღლებოდი.
- ხო, გიორგი. სჯობია ნამოწვე, ჩვენც აქვე ჩამოვჯდებით. თავს  
ძალას ნუ დაატან, ექიმს დაუჯერე. – ურჩია თავის მხრივ მოძლ-  
ვარმაც. გიორგიც მიხვდა რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ  
ჰქონდა, რადგან ირვლივ ყველა, მამა ალექსანდრეს ჩათვლით შე-  
თანხმებულად მოქმედებდნენ და მორჩილად საწოლზე წამოწვა.
- შენ რას შვები დათო? – მოიცალა მეგობრისთვის უკვე საწოლიდან.  
– ეს პაატაა? სულ პატარა მახსოვს. როგორა ხარ პაატა?
- რა ვიცი აბა, არა მიშავს. – მოკლედ უპასუხა და ნაძალადევად  
გაიღიმა პაატამ.  
ემოციას აყოლილმა გიორგიმ ვერც კი შეამჩნია რომ პაატას სახ-  
ეზე საშინელი ფერი ედო და ისევ მოძლვარს მიუბრუნდა:
- თქვენც ძლიერ გამოცვლილხართ მამაო.  
მამა ალექსანდრე საწოლზე უფრო ახლოს გადაჯდა და ბიჭებ  
ხელზე მოუჭირა. გიორგის, დიდი ხნის წინანდელი და კარგად  
ნაცნობი, დამრიგებლური ხმა მოესმა:

- თავს გაუფრთხილდი გიორგი, ხილული ღვთის სასწაულია შენზე. თხუთმეტი წლის შემდეგ, გიორგობა დღეს... ღმერთმა დედაშენის ლოცვა ისმინა. – ამ სიტყვებზე მოძღვარი დედას მიუბრუნდა. – უნდა მომიტევოთ ქალბატონო მზია, ამდენი ხანი რომ ვერ გინახულეთ. რას წარმოვიდგენდი თუ ერთმანეთს, ასე უკვალოდ დავეცარგებოდით. უნდა მაპატიოთ.
- თქვენ არაფერ შუაში ხართ მამაო. რწმენაშერყეულმა, მე ვთქვი ყოველგვარ ამქვეყნიურზე უარი და შვილთან ერთად ყველაფერს გავერიდე. დათომაც კი არაფერი იცოდა იმის მიუხედავად, რომ მისი ტელეფონის ნომერი მქონდა. – დედამ უჯრიდან საფულე ამოილო და ოთახში მყოფა მოუბოდიშა:
- შვილები, რამოდენიმე წუთით უნდა მაპატიოთ, აფთიაქში წამლებზე ჩავალ და მალევე აქ გავჩნდები. თქვენ ისაუბრეთ. – დედა ოთახიდან გავიდა.
- მაინც რამხელა გაზრდილხარ? – წამოსწინდა გიორგიმ თავი, რათა კარგად შეეთვალიერებინა პაატა და ამჯერად სახტად დარჩა, რადგან ამ უკანასკნელს იმდენად ცუდი ფერი ედო, რომ მკვდარს ჰგავდა. – ფერი არ გადევს, ცუდად ხომ არა ხარ? – წამოსცდა დაბნეულს. (გიორგის კომამდელ საქართველოში, საბედნიეროდ ჯერ არ იცოდნენ რა იყო სუბონტექსი და შესაბამისად, არც მის მიერ გამოწვეულ სიმპტომებს იცნობდა არავინ) უხერხული სიჩქარე ჩამოვარდა.
- გიო, შენ რაღაცეები არ იცი. მერე მოგიყენები. – დათომ პაატას ხუმრობით თავზე თმები აუჩეჩა და განაგრძო: – მამაო და პაატა დღეს მონასტერში მიდიან. ყველაფერი კარგად იქნება, არა მოძღვარო?
- რა თქმა უნდა დათო, ღვთის შენევნით ყველაფერი კარგად იქნება.
- დაეთანხმა დათოს მამა ალექსანდრე და ჩანთაში რაღაცის ძებნას შეუდგა. შემდეგ იპოვა რასაც ექებდა; ჩანთიდან სამი, ყელზე დასაკიდი პატარა ხატი ამოაცურა და ბიჭებს ჩამოურიგა. როცა მამა ალექსანდრემ ხატი გიორგის გადასცა, ბიჭმა ნათლად გაარჩია მასზე ამოტებირული ბოლნური ჯვარი. გაოცებულმა, თვალები ჯვრიდან მოძღვარზე გადაიტანა და ისე მიაცქერდა, თითქოს ხუთი დღის წინ ხილვაში ნანას წმინდა გიორგის, ხორცი შეესხა და მის წინ ჩამომჯდარიყო. ღმერთო დამიფარეო, აღმოხდა ბიჭს სწორედ ისე, როგორც მაშინ ტრიალ მინდორზე.

და ამ დროს ვერავინ იქ მყოფთაგან, მისივე ჩათვლით, ვერ შეამჩინა ოთახში შემოსული მარი, რომელიც კარებში იდგა მინდვრის ყვავილებით ხელში და თვალცრემლიანი იღიმებოდა.